საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 11 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 257 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 257

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის

ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული

შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18. ტელ. 11—79

ღრმად დამწუხრებული შვილები: მოსე ერმალოზ და ეზეკია საჩინოს ძე წითელაშვილები, ასული ელისი კელენჯერიძისა, რძლები: ნადეჟდა და ანეტა ანასტასია წითელაშვილებისა, სიძე სამსონ ილარიონის ძე კელენჯერიძე, შვილიშვილები: მინა, თინათინა, დარეჯანი, ვარა, ტატიანე, ირაიდა, გელა, გაბრიელი, მარიამი მანუჩარი და მარო აუწყებენ თავის ნათესავთ და მეგობართ რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

საჩინო გიორგის ძე წითელაშვილი

დაკრძალვა დანიშნულია თერთმეტ ნოემბერს, დღეს ხუთშაბათს სოფელ ტაბაკინში (შორაპნის მაზ.) ტაბაკინის წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში.

ღრმად დამწუხრებულნი: მამა მელიტონ, მეუღლე სონა, შვილები: მოლო, შალვა ყენიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი შვილის, მეუღლის და საყვარელ მამის

ტარიელ მელიტონ. ყენიას

ტრაღიკულათ გარდაცვალებას ერთი წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი, შაბათს 13 ნოემბერს ს. ჩომეთში წმ. გიორგის ეკლესიაზე. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი სიძე ბიქტორ, და ოლღა, დისშვილნი: მარგალიტა, მიშა, ქეთევან და მელიტონ ზაქარეიშვილები მწუხარებით ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ რომ საყვარელი ძმ.ს და ბიძის

ტარიელ მელიტონის ძე ყენიას

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი შაბათს 13 ნოემბერს ს. ჩომეთში წმ. გიორგის ეკლესიაზე. (ფ. 1—1)

საჯამიასერის თემის გამგეობა მწუხარებით აღნიშნავს ერთი წლის თავის შესრულებას ყოფილი ხმოსნის ვერაგულათ მოკლულ ამხანაგ

ტარიელ მელიტონის ძე ყენიას

წირვა და პანაშვიდი დანიშნულია შაბათს 13 ნოემბერს, ს. ჩომეთში წმ. გიორგის ეკლესიაზე. (ფ. 1—1)

ვარდენ, ბულბული და სამუილ ზაქარეიშვილები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, პირველ ორის ნათლია მამის და მესამის საყვარელ ამხანაგის

ტარიელ მელიტონის ძე ყენიას

გარდაცვალების ერთი წლის თავის შესრულებას 13 ნოემბერს შაბათს ს. ჩომეთში. (ფ. 1—1)

საჯამიასერის უმ. დაწ. სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ შაბათს 13 ნოემბერს ჩომეთის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ერთი წლის თავის წირვა და პანაშვიდი ჩოხატაურის აჯანყების დროს ვერაგულათ მოკლულ სასკოლო სექციის წევრის

ტარიელ ყენიასი

(ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები იასონ (სიმონ) და მატრონა, ძმები: გიორგი, მიხეილ, დები: დარია და ნინა, რძლები: ელენე და ეკატერინე და ძმისწული ლეონიდი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი,

ალექსანდრა (საშას) სიმონის ასული გახტაძე

რომელიც გარდაიცვალა 10 ნოემბერს დილის 7 საათზე ქალაქის საავადმყოფოში ავლაბარში. პანაშვიდი დღეს საღამოს 4 საათზე საავადმყოფოში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (3633—2—1)

გულ-დამწვარნი გიორგი მეუღლეთ ელენეთი ბახტაძე აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს უდროოთ გარდაცვალებას პირველის დის და მეორესი მეუღლის

ალექსანდრა (საშა) გახტაძისას

პანაშვიდი დღეს საღამოს 4 საათზე არამიანცის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება, (3673—2—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.
ხუთშაბათს, ნოემბრის 11-ს
ოტელლო შექსპირისა
დასაწყისი საღ. 6 საათზე.
რეჟისორი აკ. ფალავა.
დარჩენილი ბილეთები კასაში.

შაბათს, ნოემბრის 13-ს
მსხვერპლი—ი. გედევანიშვილისა
ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. წუწუნავა. ბილეთები კასაში. (ნ. 2—2)

საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის

საკანტროლო კომისიისაგან

ვთხოვთ თფილისში მყოფ საკანტროლო კომისიის წევრებს უსათუოთ დაესწრან კომისიის კრებას 11 ამ თვეს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ კომიტ. ბინაზე. (2—2)

სახელმწ. თეატრი.
11 ნოემბერს
აბესალომ და ეთერი
12 ნოემბერს—ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა. 13 ნოემბერს—ოპერამუშებისათვის ტაისი. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ნ. 1—1)

ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ მიღებულია
ახალი პარტია საქონლისა
რომელიც იყიდება წევრებზე. არა წევრებს შეუძლია შეიძინონ მაღაზიიდან
მანუფაქტურა და სხვა საქონელი
იყიდება საზ. ყველა განყოფილებებში. (ანგ. 1—1)

მობილიზაცია

მთავრობამ 1890, 1891, 1892 და 1893 წ.წ. დაბადებულთა მობილიზაცია გამოაცხადა. მობილიზაციის გამოცხადება გამოიწვია იმ მდგომარეობამ, რომელიც შეიქნა სომხეთში. ოსმალეთის ურდოები სომხეთში შემოიჭრენ და აქედან ჩვენს საზღვრებს ემუქრებიან. ჩვენმა დემოკრატიამ კარგათ იცის, რას ნიშნავს ოსმალეთის ფაშების შემოსევა; მან იცის რომ ეს ნიშნავს, პირველყოვლისა, დამხობას იმ რესპუბლიკისას, რომელიც ამდენი სისხლით და შრომით შექმნა ჩვენმა მუშათა კლასმა; ეს ნიშნავს დაკარგვას ყველა იმ თავისუფლებებისა, რომელიც მოგვცა რევოლიუციამ; ეს ნიშნავს ჩვენი სახლ კარის აოხრებას და გადაწვას; ეს ნიშნავს მთელი ქვეყნის სიმდიდრის განიავებას და გაძარცვას; ეს ნიშნავს ყველაზე უსაშინელესი მონობის გაბატონებას და ფაშების თავაშვებულ თარეშს ჩვენი რესპუბლიკის მიდამოებში. და აი, ეს რომ არ მოხდეს მთავრობა თადარიგს იჭერს მოსალოდნელი საფრთხის ასაცდენათ. არ უნდა დავივიწყოთ რომ რამდენათაც მაგარი და მტკიცე ვართ შიგნით, იმდენათ ნაკლები ხალისი ექნება მტერს ჩვენზე იერიშის მოტანის.

ჩვენი დემოკრატია არასოდეს ყოფილა ომის და სხვებზე თავდასხმის მომხრე. ის მუდამ და ყოველთვის იცავდა და იცავს თავის თავს, თავის თავისუფლებას და ამისათვის ბრძოლაში მან არ იცის უკან დახევა; მის თავგანწირვას ასეთ შემთხვევებში არ აქვს საზღვარი და ამიტომ არის, რომ აქამდე ყველა ბრძოლაში გამარჯვებული რჩებოდა.

გვჯერა რომ ჩვენი დემოკრატია დღესაც ისე ერთსულოვანი იქნება ოსმალეთის ფაშებთან ბრძოლაში, როგორც წინათ და ეს კი უტყუარი თავდებია ჩვენი გამარჯვების და მტრის დამარცხების.

ჩვენ დარწმუნებული ვართ ჯარში გაწვეულნი უკლისათ და სწრაფათ გამოცხადდებიან სამობილიზაციო პუნქტებში და თავის მძიმე მოვალეობის პატიოსნათ ასრულებით ერთხელ კიდევ დაანახვებენ გათავხედებულ მტერს თუ რას ნიშნავს საქართველოს დემოკრატია, და როგორ იცავს ის რესპუბლიკას და თავისუფლებას.

კიდევ აჭარაზე

გუშინ აღვნიშნეთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკა აჭარაში მართვა-გამგეობის მოწყობის საქმეში. აღვნიშნეთ ისიც, რომ აჭარაში არიან ელემენტებიც, რომელნიც აგიტატორების და სარწმუნოებრივი ფანატიზმის წყალობით რეაქციას ემსახურებიან და თავის ქვეყანას საფრთხეს უმზადებენ.

რა ზომები უნდა იქნეს მიღებული ამათ წინააღმდეგ?

პირველი და უმთავრესია, რასაკვირველია, ამ ხალხის გამოყვანა იმ ბურუსიდან, რომელმაც ისინი ასეთ უფსკრულის პირას მიიყვანა და თავის ინტერესების წინააღმდეგ ოსმალთა მოსამსახურეთ აქცია; ხალხის გათვითცნობიერება კი მარტო ქადაგებაზე არ არის დამოკიდებული. შეგნება ვითარდება ყოფა-ცხოვრების პირობების მიხედვით. გონებრივი კულტურული განვითარება დამოკიდებულია ეკონომიურ წინმსვლელობაზე.

და აჭარის ხალხის საბოლოოთ დახსნა იმ დამღუპველი გზიდან, რომლისკენაც მას კისკინიზადეები მიეზიდებიან, არის აჭარაში კულტურის შეტანა, მისი ეკონომიურათ აღორძინება, მასში თანამედროვე მოქალაქობრივი ცხოვრების განვითარება.

ცხადია, ეს არ არის საქმე ერთი და ორი დღის, ეს არ შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ. ხანგრძლივი მუშაობა, სკოლების და საავათმყოფოების გახსნით, გზების გაყვანით, სამთამადნო ქარხნების ამუშავებით, კოოპერატივების დაარსებით, და სხვა ასეთ ღონისძიებათა მიღებით ეს მხარე მალე ერთ განვითარებულ კუთხეთაგან გახდება და იმ ძველი მესხეთის კულტურის ღირსეული მემკვიდრე შეიქნება.

მაგრამ ამ კულტურულ მუშაობის დაწყებით ვერ შექმნის დაუყონებლივ იმ სულიერ განწყობილებას, რომელიც საჭიროა. დღეს მომდგარ საფრთხის წინაშე ასეთი ღონისძიებანი ვერ გამოგვადგება. ქემალის შემოსევის მოლოდინში ქარხნებსა და კოოპერატივებზე ზრუნვა ძნელია, შეუძლებელია.

და როცა ზოგიერთი ფიქრობს, რომ ჩვენ უნდა მხოლოდ კულტურტრეგერობით ვექცეთ და მარტო ამით დავკმაყოფილდეთო, ისინი ვერ ამჩნევენ ხანგრძლივი მუშაობის პროგრამას, დღევანდელ აუცილებელ თავდაცვის ზომებიდან.

ცხოვრების სინამდვილე კი უფრო რთულია, ვინემ რომელიმე დოქტრინა, ან გეგმა. იგი თხოულობს საბოლოო მუშაობასთან ერთად ყოველდღიურ ბრძოლას.

მოფერება და სიტყვა ვერ გასჭრის იქ, სადაც მოქმედება იწყება.

იმ აგიტატორებს, რომელნიც დღეს ქემალის ფულით დავარჯიშობენ აჭარაში, ჩვენი მომავალი მუშაობის გეგმა ვერ შეაჩერებს. ჩეტნიკები, რომელნიც მოსალოდნელია გადმოვიდენ ამ ხალხის ასარევათ—მჭერმეტყველებით ვერ დაიოკებ.

მათ ხმალი მოაქვთ და ხმალივე უნდა იყოს მათი დამხვდური. აჭარის მცხოვრებლების იმ ელემენტებმა, რომელთაც გულში ასეთი განზრახვა უდევთ, უნდა იცოდენ, რომ ბათომის ოლქი—საქართველოს ნაწილია, მისი მცხოვრებნი—საქართველოს მოქალაქენი. მაშასადამე იარაღით მტრის მიმხრობა, ეს ღალატია რესპუბლიკის და დემოკრატიის წინაშე. ეს მუხანათობაა, რომელიც დაუსჯელი ვერ გადარჩება.

ჩვენ ვიცით მიზეზები და საფუძველი, რომელზედაც შენდება შესაძლებლობა ამ მუხანათობის; ვიცით, როგორ უნდა ამოიფხვრას ეს ნიადაგი. მაგრამ ვიცით ისიც, რომ მოღალატის სწავლებისათვის დღეს დრო არ არის. მუხთალი ხელი უნდა შეჩერებულ იქნეს.

ბევრს გაუკვირდა, როცა მთავრობა ასეთი განცხადებით გამოვიდა დამფუძნებელ კრებაში.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მთავრობა ამ შემთხვევაში სავსებით მართალი იყო. მას არ შეეძლო არ გაეფრთხილებია თავის მოქალაქენი, რომ ამბოხება, მოღალატეობა დაუშვებელია, რომ ამ ბოროტებას ჩამდენი სასტიკათ დაისჯება.

აჭარლები ჩვენი ძმებია, მაშასადამე ჩვენთან უნდა იყოს ჭირში და ლხინში. თუ მათში მოღალატე გამოჩნდა, ის ძმის მკვლელია და მაშასადამე ღირსი შეჩვენების, ღირსი უსასტიკესი სასჯელის. ოსმალოს აგენტები აქეზებენ ხალხს დღეს მოღალატეობისათვის. და მთავრობის წმინდა ვალი იყო იგინი გაეფრთხილებია, რომ ამით თავიდან აეცდინა ძმათა შეცდომა და რეპრესიების აუცილებლობა. ჩვენ ვამბობთ: ძმასთან ძმურათ, მტერთან მტრულათ, მოღალატესთან შეუბრალებლათ. და რა წამს გარეშე საფრთხე გაივლის კვლავ შევუდგებით იმ დიდ კულტურულ მუშაობას, რომელმაც საბოლოოთ უნდა შეადუღოს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეები ისეთი დუღაბით, რომლის განგრევა არავითარ ძალას აღარ შეეძლოს.

„ახალი სხივი“

IV

არ გავჭალარავდეთ.

მე მეძნელება „ახალი სხივის“ შესახებ წერის გაგრძელება იმ კილოთი, როგორითაც დავიწყე. მისი უკანასკნელი ნომერი გამოსულია საზღვრებიდან და აღარ შეიძლება ითქვას, რომ ის პარტიული ოპოზიციის ორგანოა. რას ფიქრობდა რედაქცია, როცა ათავსებდა „ჭალარას“ წერილს? ამისთანა, წერილის ავტორს, რა თქმა უნდა ადგილი არ აქვს პარტიაში, პარტია ვერ იგუებს „ჭალარის“-თანა წევრებს, ის ან თითონ უნდა გავიდეს პარტიიდან, ან პარტიამ უნდა გამორიცხოს. ეს არის ჩემი აზრი.

მე არ ვარ შეჩვეული აზრის გამოცვლას. პირიქით, დიდი კონსერვატორი ვარ ამ მხრივ. კამათის სულ მოსპობა და ამ მიზნით „ახალი სხივის“ დახურვა მე არ მიფიქრია. ახლაც ვიტყვი, თუ ჩვენში პრინციპიალური უთანხმოება არსებობს, საჭირო იქნება სადისკუსიო ორგანო, თუ ასეთი არა არის რა, მაშინ ეს აღარ არის საჭირო. ვერ ვიქონიებთ ცალკე გაზეთს მარტო ზოგიერთი მოხელეების სამხილებლათ, ეს არაა პოლიტიკური საქმიანობა. მხილება შეიძლება ცენტრალურ ორგანოებშიაც. აღარ დაგვჭირდება ცალკე გაზეთი მით უფრო, რომ „ერთობა-ბარბას“ გარდა პირველი იანვრიდან გვექნება ჟურნალი. კმარა, მგონია, სადისკუსიოთ ეს სამი ორგანო.

„ახალი სხივის“ ჯგუფი, როგორც ეტყობა, ამას არ იკმარებს და მაინც მოინდომებს ცალკე არსებობას. ეს იქნება პარტიის დაწვრილმანება და დიდი კითხვების უბრალო კინკლაობათ გადაქცევა. რაც უნდა კარგი განძრახვა ჰქონდესთ, ამ საშუალებით სიმაღლემდის ვერავის უჩვენებენ გზას, თითონ კი დაქვეითდებიან „ჭალარამდის“.

დროა დაისვას წერტილი და გამოინახოს ისეთი საშუალება, რომელიც აამაღლებს პარტიასაც და პარტიულ ოპოზიციასაც. ზოგიერთებს ალაპარაკებს პირადი ან ჯგუფური უკმაყოფილება და ეკარგებათ შორსმხედველობა.

ჩვენ ყველა უკმაყოფილო ვართ იმით, რომ ყველასგან მოწონებული და მიღებული გეგმა ცხოვრებაში ვერ ტარდება. მაგრამ ჩვენ, როგორც მარქსისტები, ვერ ვიტყვით, რომ ეს დიდი ნაკლი დამოკიდებულია ამა თუ იმ პიროვნებებზე. „ახალ სხივში“ ფიქრობენ, რომ ამსრულებლები არ გვივარგან და ამიტომ ვერ ვატარებთ, რის გატარებაც გვინდა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ დღევანდელ საზოგადო პირობებში ძნელია იმ პოლიტიკის გატარება, რომელსაც მმართველი პარტია აწარმოებს და ამიტომ არ გვივარგიან აღმსრულებლებიც. „ახ. სხივლები“ მარქსისტები არიან და უნდა დაგვეთანხმონ ამ დებულებაში. მდგომარეობა არ შეიცვლება მარტო პირების გამოცვლით. შეგვიძლიანთ ისე მოვაწყოთ საქმე, რომ პარტიულ და სახელმწიფო დაწესებულებებში სულ სხვა და სხვა პირები იქნენ, პარტიულ ოპოზიციას ამითი მაინც ნიადაგი არ მოესპობა.

წინა წერილშიაც ვამბობდი, რომ გარდამავალი ხანა ქმნის ამ ნიადაგს. არის წინააღმდეგობა, რომელსაც ადვილათ ვერ ავიშორებთ, რომელიც თანდათან უნდა ვძლიოთ. ჩვენა პოლიტიკა სოციალისტურია, სინამდვილე კი ჯერ ისევ ბურჟუაზიულ საძირკველზე დგას, ჩვენ მივდივართ ისეთ წესწყობილებისკენ, რომელშიაც კლასთა სხვადასხვაობას ადგილი არ ექნება, დღეს დღეობით კი ეს სხვადასხვაობა უარესათ მწვავდება. მართვა გამგეობის სათავეში დიდი ხანია, დამდგარია მუშათა პარტია, მუშათა კლასი და საზოგადოთ მშრომელი ხალხი კი ეკონომიურათ უარეს მდგომარეობაშია, ვიდრე იყო რევოლიუციამდის. ბურჟუაზიას აღარ აქვს პოლიტიკაში გავლენა, ეკონომიურათ კი ის უფრო გამაგრებული არის, ვიდრე ბურჟუაზიული მართვა-გამგეობის დროს იყო. ჩვენ მუშათა ორგანიზაციებში ყოველ-დღე თავს ვიმტვრევთ, ვეძებთ კრიზისისგან გამოსავალ გზებს, ვეძებთ ნახევარ გირვანქა პურს, იქითა ნაპირზე კი ქეიფში და ფუფუნებაში ატარებენ დროს.

არ შეიძლება, რომ ეს საშინელი წინააღმდეგობა არ ქმნიდეს უკმაყოფილებას. ბევრი ვერ ხედავს ამის ღრმა მიზეზებს და პიროვნებებში ეძებს დამნაშავეს. ბევრს ჰგონია, რომ თუ ამა და ამ ადგილზე უკეთესი ამსრულებელი იქნა, საქმე ძირიანათ გამოკეთდებაო. „ახ. სხივს“ ამ არა მარქსისტულ აზროვნობაში აქვს ფესვები, თუმცა მის სათავეში მარქსისტებიც არიან.

არ იფიქრონ, რომ ჩვენ ყველაფერს გარეშე პირობებს ვაბრალებთ და სრულიად უარვყოფთ პიროვნულ თვისებებს პირად პასუხისგებას. რასაკვირველია, სანთლით უნდა ვეძებოთ უკეთესი ამსრულებელი და სასტიკათ ვდევნოთ ყოველივე ბოროტ მოქმედი. მაგრამ ეს არ მოითხოვს ოპოზიციის გამოყოფას. პირიქით, გამოყოფის ნიადაგზე ადვილათ მოიკიდებს ფეხს ისეთი პოლიტიკური და ზნეობრივი ბოროტმოქმედება, როგორიც დღეს ახასიათებს „ახალი სხივის“ „ჭალარას“. პარტიის ფარგლებში მე ყოველთვის ოპორტიუნისტი ვიყავი და თანხმობას ვეძებდი. იმედი მაქვს, რომ ახლაც მოხერხდება შეთანხმება თუ „ახ. სხივი“ თავს შეიკავებს და „ჭალარასავით“ არ გაჭალარავდება.

ს. დევდარიანი.

დამფუძნებელი კრება

9 ნოემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

კრება ისმენს პრეზიდიუმში შემოსულ დეპუტატ ნ. ნიკოლაძის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი თავს ანებებს დამფუძნებელ კრების წევრობას მისი სხვა თანამდებობაზე დანიშვნის გამო. მის ალაგს საარჩევნო კანონის ძალით დაიკავებს შემდეგი კანდიდატი ეროვნულ დემოკრატიულ ფრაქციისა — ბ. შალ. ამირეჯიბი.

საგარეო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს დეპუტატი აკ. ჩხენკელი იმ წინადადების შესახებ, რომელიც დამფ. კრების პრეზიდიუმშია შემოტანილი ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ და რომელიც შეეხება 15 ნოემბრისათვის ჟენევაში მოწვეულ ხალხთა ლიგის კონგრესზე საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლის გაგზავნას. წინადადების აზრი იმაში გამოიხატება, რომ საქართველოს დელეგატები დაესწრონ 15 ნოემბერს ხალხთა ლიგის პირველ სხდომაზე და შუამდგომლობა აღძრან საქართველოს რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში წევრათ მიღების შესახებ. წინადადების გარჩევის დროს საგარეო კომისიის სხდომას დაესწრო გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი—კ. საბახტარიშვილი, რომელმაც გააცნო კომისიას, რომ მთავრობას ამ მხრივ უკვე გადაუდგამს შესაფერი ნაბიჯები. ადრევე იმავე საკითხის შესახებ ხალხთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე აღუძრავს შუამდგომლობა ჩვენი რესპუბლიკის პარიზის საზავო დელეგაციას. აღნიშნულ ინფორმაციის მოსმენის შემდეგ საგარეო კომისიამ გადასწყვიტა მოხსნას შემოტანილი წინადადება. ხოლო თავის მხრივ კომისია იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და ავალებს მთავრობას ენერგიულათ განაგრძოს დაწყებული მუშაობა, რათა საქართველო მიღებულ იქნეს ერთა ლიგაში, როგორც მისი სრულ უფლებიანი წევრი.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი კ. საბახტარიშვილი აცნობს კრებას, თუ რა ზომები მიიღო მთავრობამ აღნიშნულ საკითხის მოსაგვარებლათ. ამ საქმის შესახებ პირველათ შუამდგომლობა აღძრა ერთა ლიგის სეკრეტარიატის წინაშე რესპუბლიკის პარიზის საზავო დელეგაციამ. ამის შედეგათ მთავრობამ 30 სექტემბერს სეკრეტარიატისაგან მიიღო პირველი წერილი, სადაც იგი ითხოვდა მასალებს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. მთავრობამ ამას საპასუხოთ გადაგზავნა საჭირო დოკუმენტები, რის შემდეგ მან მიიღო სეკრეტარიატისაგან მეორე წერილი 20 ოქტომბერს. ამ წერილში აღნიშნულია, რომ შესაძლებელია ყრილობამ მოისურვოს სახელმწიფოს წარმომადგენლის მოსმენა; ამიტომ საჭიროა გაიგზავნოს წარმომადგენელი, ან დაევალოს წარმომადგენლობა საზღვარ გარეთ მყოფ დელეგაციის რომელიმე წევრს. ამის შემდეგ იმ დღესვე ევროპაში მყოფ საგარეო საქმეთა მინისტრს—ევგ. გეგეჭკორს გაეგზავნა დეპეშა, რომლითაც მას ევალება საქართველოს წარმომადგენლობა ხალხთა ლიგის პირველ ყრილობაზე; მასვე ფოსტით გადაეგზავნა სათანადო მანდატი. ყოველივე ეს ეცნობა ხალხთა ლიგის სეკრეტარიატს და ეთხოვა, რათა საქართველო იქნეს დაშვებული წევრათ ხალხთა ლიგაში. ორატორი ფიქრობს, რომ საქართველომ მთელი თავისი მოქმედებით უკვე დაიმსახურა ხალხთა ლიგის წევრობის უფლება და იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული იქნება.

ხალხთა ლიგაში შესვლის წინააღმდეგ ილაშქრებს დეპუტ. ლ. შენგელაია (ს.-რევ.) იგი ამბობს: ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ალიარებას დიდ სახელმწიფოების მიერ ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს; ეს მით უმეტეს ჩვენზე ითქმის, ვინაიდან ჩვენი სახელმწიფო პატარაა და მას მარტო არსებობა არ შეუძლია. მაგრამ სხვაა საკითხი ლიგაში შესვლის შესახებ. რას წარმოადგენს ის ოჯახი, სადაც ჩვენ ვაპირებთ შესვლას? ეს ფრიად სერიოზული კითხვაა და მისი ერთი ხელის მოსმით გადაჭრა, როგორც მას ბ. ჩხენკელი სჩადის, არ შეიძლება. პირველ ყოვლისა შემადგენლობა ამ ორგანიზაციისა ისეთია, რომ ჩვენთვის არ იქნებოდა სასარგებლო მასში შევსულიყავით. მიზნების მხრივ საერთოდ მისი შინაარსი გამოურკვეველია თვით დამაარსებელთათვისაც; ხოლო რამდენათაც გამორკვეულია მისი მიზნები,—ამის მიხედვით ჩვენ არ უნდა შევიდეთ ამ ოჯახში. მასში უმთავრესათ წევრებათ შედიან გამარჯვებული სახელმწიფოები; არსებითად ეს ორგანიზაცია არის ახალ ფორმით მოვლინებული კაპიტალისტურ ჩაგვრისა და მონობის ორგანიზაცია. მას, თითქოს, კარგი მიზნები აქვს დასახული, მაგ. საყოველთაო განიარაღება და სხვ. მაგრამ, ორატორის აზრით, ეს მხოლოთ თვალთმაქცობაა, ვინაიდან შეუძლებელია შეიარაღებისა და ომის მოსპობა მანამდე, სანამ კაპიტალისტური წესი, კერძო საკუთრება არსებობს. ლიგა რომ ჩაგვრა-მონობის ორგანიზაციაა, სხვათა შორის, ისიც ამტკიცებს, რომ მასში არ შედის გერმანია როგორც დამარცხებული სახელმწიფო.

ეხება რა ლიგის წესდებას, ორატორი ამბობს, რომ ლიგის ყველა დადგენილება სავალდებულო იქნება ყველა წევრებისთვისო. ამიტომ მას დაუშვებლათ და ავანტიურათაც მიაჩნია საქართველოს შეყვანა ლიგაში, ვინაიდან ამით იგი გახდება პასუხისმგებელი ყველა დადგენილებებისა. ამიტომ მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს იგი სთვლის არა კანონიერათ და მოითხოვს, რომ ეს საკითხი თუ მაინცა და მაინც დასმული იქნება იგი, გადაწყვიტოს თვით ხალხმა, რეფერენდუმის ან სხვა სახით. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ მისი ფრაქცია წინააღმდეგია ლიგაში შესვლისა და იმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

პოლონეთის უმაღლესმა სარდლობამ ბრძანება გასცა პოლონეთის ჯარისა და პეტლიურას და ბალახოვიჩის ჯარების შორის ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ.

ბერლინში ელექტრონის საზოგადოებათა მუშების გაფიცვა მწვავდება, ტელეფონი და ტრამვაი არ მუშაობს.

ინგლისის ფირმებსა და სამხრეთ რუსეთის წარმომადგენლებს შორის სავაჭრო შეთანხმება მოხდა. შეთანხმების ძალით საზარგო გემების მიმოსვლა უნდა დაემორჩილოს არსებულ საერთაშორისო ნორმებში. საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებს იმ საქონლის რეკვიზიციაზე, რომელიც კერძო პირებს ეკუთვნის.

შეერთებულ შტატებში უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტურმა კანდიდატმა დებსმა 3 მილიონი ხმა მიიღო.

ლიონიდან იუწყებიან, რომ ქემალ-ფაშა საბერძნეთის ფრონტზე ამ თვეში შეტევის დაწყებას აპირებს.

ხარჯებისა, რომელსაც დელეგატების გაგზავნა გამოიწვევს.

გ. გვაზავა მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯების შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ ხსნის თავის წინადადებას. შემდეგ ეკამათება ს.-რ. ორატორს ლ. შენგელაიას და ამბობს, რომ შენგელაიას იერიშები დამყარებულია გაუგებრობაზე ერთა ლიგის წესდებას არ ცოდნაზე. ორატორს მოჰყავს ხალხთა ლიგის წესდების მე-5 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ყოველგვარი დადგენილება გამოტანილი უნდა იქნეს ერთხმათ და ამბობს, რომ ლიგაში დიდ სახელმწიფოების მიერ პატარა სახელმწიფოების ჩაგვრას ალაგი არ ექნება. ხალხთა ლიგა, მისი აზრით, გამომხატველია საერთაშორისო უფლების ევოლიუციონურ განვითარებისა და მას დღევანდელ პირობებში საუკეთესოთ შეუძლია დაიცვას მცირე სახელმწიფოთა ინტერესები.

შემდეგ ორატორს მოჰყავს წესდების მე-10 მუხლი, სადაც ნათქვამია, რომ ლიგა დაიცავს თავის წევრთა ტერიტორიალურ და პოლიტიკურ მთლიანობას. მისი აზრით, ეს მუხლი, თუ ის განხორციელებული იქნება, საუკეთესოთ უზრუნველჰყოფს მცირე ერთა დამოუკიდებლობას. აღნიშნავს რა წინააღმდეგობას ესერთა ფრაქციის შეხედულებათა და ცხოვრების შორის, ორატორი დასასრულ მოითხოვს, რომ საკითხი დადებითად იქნას გადაჭრილი.

გრ. რცხილაძე (სოც.-ფედ.) ამბობს, რომ საერთაშორისო თვალსაზრისით ხალხთა ლიგა ჰააგის კონფერენციის გაგრძელებაა. ლიგის ავტორები იმ შეხედულებისა არიან, რომ ბოლო მოუღონ საერთაშორისო შეიარაღებასა და ომებს; მართალია, შესაძლებელია ეს ვერ განხორციელდეს, მაგრამ მას მაინც ექნება კაცობრიობისათვის დადებითი მნიშვნელობა. პოლიტიკურის თვალთახედვით ლიგა შეიცავს წინააღმდეგობას: აქ ერთმანეთს ეწინააღმდეგება სახელმწიფო წევრის სუვერენული უფლება და ლიგის საერთაშორისო ხასიათი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლიგის იდეა გამარჯვებულ სახელმწიფოებს დაებადათ; ამ გზით მათ უნდათ გაამტკიცონ საერთაშორისო წონასწორობა და ეს იმის მაჩვენებელია, რომ ლიგა არ არის ჯერ კიდევ სრული. ჩვენი ქვეყნის თვალსაზრისით ჩვენ უნდა შევიდეთ ხალხთა ლიგაში, ვინაიდან, ორატორის აზრით, ამ გზით ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იურიდიულ ცნობას დიდ სახელმწიფოების მიერ. ორატორი ეთანხმება მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს.

ქ. გვარჯალაძე (ს. დ.) აღნიშნავს იმ მოლაპარაკებას, რომელსაც სისტემატიურათ აწარმოებდა ჩვენი ევროპის დელეგაცია ხალხთა ლიგის სეკრეტარიატთან; ევროპაში მემარჯვენე პარტიები არიან წინააღმდეგი ხალხთა ლიგაში შესვლისა. სოციალისტები და რადიკალები კი ყველგან მოითხოვენ ლიგაში შესვლას. უკანასკნელები, მართალია, აღნიშნავენ, რომ ერთა ლიგა არ არის იდეალური ორგანიზაცია, რომ მას ბევრი ნაკლი აქვს; მაგრამ მით უმეტეს საჭიროა შევიდენ ლიგაში სახელმწიფოები, რათა შიგნიდან იქნეს გამოსწორებული ყველა ის ნაკლები, რომლებიც მას თან ახლავს. ამასვე მოითხოვენ ამერიკის რადიკალებიც. ლ. შენგელაიას საწინააღმდეგოთ ორატორი ამბობს, რომ გერმანიას სურს შევიდეს ხალხთა ლიგაში; ამას მოითხოვენ გერმანიის ყველა სოციალისტები და რადიკალები, გარდა ანარქისტებისა და ბოლშევიკურათ მოაზროვნე ელემენტებისა. უკანასკნელნიც, შენგელაიას მსგავსათ, ამით ასაბუთებენ თავიანთ აზრს, რომ ლიგა ბურჟუაზიული ორგანიზაციაა.

მომხსენებელი **აკ. ჩხენკელი** საპასუხო სიტყვაში ამტკიცებს, რომ ხალხთა ლიგაში შესვლას სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი დამოუკიდებლობისათვის და რომ უმაღლესი საბჭო და ხალხთა ლიგა სულ სხვადასხვა ორგანიზაციებია. ორატორი ეხება ჩვენი წარმომადგენლების მუშაობას ინტერნაციონალში და სურვილს გამოსთქვამს, რომ საქართველოს წარმომადგენლების მუშაობა ხალხთა ლიგაში ისეთივე ნაყოფიერი ყოფილიყოს, როგორც ინტერნაციონალში.

მომხსენებელმა საგარეო კომისიის სახელით წარმოადგინა შემდეგი ფორმულა:

„დამფუძნებელი კრება იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ და ავალებს მთავრობას მომავალშიაც განაგრძოს ამ მხრივ სათანადო მუშაობა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მიღებულ იქნეს სრულუფლებიან წევრათ ხალხთა ლიგაში“.

ფორმულა მიღებულ იქნა ერთხმათ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის ხმების წინააღმდეგ.

საბიუჯეტო საფინანსო კომისიის წარმომადგენელის ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საქართველოს სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურეებზე 1920 წლის აგვისტოს 16-ს დეკრეტის მოქმედების გავრცელებისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა მთავრობის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი სახელმწიფო დაწესებულებათა შესახებ 1920—1921 საბიუჯეტო წლის ანგარიშით სათანადო თანხის გადიდებისა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო.)

ნოემბრის 10.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური)

პოლონეთის მთავრობის განცხადება.

21 ოქტ. პოლონეთის უმაღლესმა სარდლობამ გამოსცა ბრძანება პოლონეთის ჯარისა და ატამან პეტლიურას და გენ. ბალახოვიჩის ჯარების შორის ყოველგვარ დამოკიდებულების შეწყვეტის შესახებ. პოლონეთის მთავრობა იტყობინება: მან განუცხადა პეტლიურასა და ბალახოვიჩს, რომ თუ ნოემბრის 2 შემდეგ მათი ჯარები აღმოჩნდებიან პოლონეთის ტერიტორიაზე, მაშინ ისინი დაუყონებლივ განიარაღებულნი და დაკავებულნი იქნებიან. თანახმათ ამ ბრძანებისა უკვე განიარაღებულია ბალახოვიჩის რაზმი, რომელიც პოლონეთის ტერიტორიაზე დარჩა და რომელიც შესდგებოდა მძიმე საარტილერიო ბრიგადიდან ჯავშნოსან მატარებლით.

ვრანგელს არ ეხმარებიან.

ვრანგელის ხარჯზე ვენაში გამოცემული თეთრგვარდიელების რუსული გაზეთი „ნოვაია როსია“ მწარეთ სჩივის რომ ანტანტის ყველა განცხადება ვრანგელისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ მხოლოდ ცარიელი სიტყვებია. აღნიშნავს რა თეთრების სამწუხარო მდგომარეობას, გაზეთი აცხადებს, რომ ვრანგელი იძულებულია მიიღოს უკანასკნელი ნაჭერი პურისა, ოღონდ კი თავის ჯარს ჩააცვას.

გემის გაჩხრეკა.

მოკავშირეთა კომისიამ, რომელიც ინგლისის ფრანგის და იაპონიის წარმომადგენლებისაგან შესდგებოდა ჰამბურგის ნავთსადგურში მყოფი რუსეთის გემი „სუბოტნიკი“ გასჩხრიკა. ბერლინში მყოფმა რუსეთის წარმომადგენლებმა გერმანიის მთავრობას ცხარე პროტესტი განუცხადეს იმის გამო, რომ გერმანიის მოხელეებმა საშუალება მისცეს საბჭოთა რუსეთთან მტრულად განწყობილ სახელმწიფოების წარმომადგენლებს ასულიყვნენ რუსეთის გემზე.

ლაპარაკის აკრძალვა.

ლორენში მყოფმა საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებმა გამოიტანეს დადგენილება, რომლის ძალითაც მცხოვრებლებს გერმანულ ენაზე ლაპარაკი ეკრძალებათ.

გაფიცვა ბერლინში.

ბერლინის ელექტრონის საზოგადოებათა მუშების გაფიცვა მწვავდება. ტელეფონი და ტრამვაი სრულიად აღარ მუშაობს. სურსათ-სანოვაგის ტრანსპორტის მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვა დაიწყონ.

უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიღება.

საგარეო საქმეთა კომისარმა დანიშნა უცხო ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლების მიღება. დაესწრნენ: გერმანიის მთავრობის წარმომადგენელი ხილგერი, ოსმალეთის განსაკუთრებული ელჩი—მუხაჯეროლი, მემალეკი; ავღანისტანის განსაკუთრებული ელჩი მამედ ველი ხაი; საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი მახარაძე; ლატვიის ვემასი; ლიტვის ბოლტრუშეიტისი; ავსტრიის მთავრობის წარმომადგენელი პოლი; ჩეხო სლოვაკიის მთავრობის სკოლა; ოსმალეთის მისიის გენერალური მდივანი ზია და სხვები. ჩიჩერინი თავის სიტყვაში მიესალმა მეგობრულად განწყობილ სახელმწიფოების წარმომადგენლებს და აგრეთვე შუა ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს, გამოსთქვა იმედი, რომ მომავალ წელს ყველა ერები შეიგნებენ საბჭოთა მთავრობის მშვიდობიან პოლიტიკას.

ოქტ. რევოლიუციის იუბილეს გარშემო.

„პრავდა“ მოწინავე წერილში სწერს: ოქტომ. რევოლიუციის იუბილეის დღეს, როდესაც ჩვენ გადავთვალიერებთ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა, ჩვენ არც მტრებმა დაგვივიწყა. ბურჟუაზიული გაზეთები სავსეა ცნობებით აჯანყებულთა მიერ ნიჟნი-ნოვგოროდის აღების შესახებ, სმოლენსკში ჯარისკაცების აჯანყების შესახებ, აჯანყებულთა მიერ მოსკოვის საბჭოს განდევნის შესახებ, და თითქოს ყოველ დიდ ქალაქში ხდებოდეს ბრძოლები და სხვა ამრიგად. ასე უნდათ დახვდნენ ბურჟუაზიულ მწერლებს საბჭოთა იუბილეი. ამ სიყალბის ნიადაგზე მოქალაქე კერენსკი აფასებს მიმდინარე მომენტს და ამბობს, რომ რუსეთის ხალხი არ წაჰყვება არც ლენინს და არც ვრანგელს. მათ წაჰყვება ისინი ვინც მახინჯებათ დარჩენო“: ამას სწერს კერენსკი, ხალხური გმირი: არასდროს არ ყოფილა საბჭოთა მთავრობა ასეთი მაგარი, არას დროს არ ყოფილა იგი ასე შედუღებული, როგორც არის დღეს.

ჩვენ კიდევ დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ სამხედრო ფრონტს, მაგრამ ჩვენ ვცდილობთ აგრეთვე მივაქციოთ ყურადღება შინაურ სამეურნეო ფრონტს. კერენსკის ბურჟუაზიულ ანტანტას კი სწამს თითქოს ხალხის მასამ მოინელა ბოლშევიკური ფსიქოლოგია. რამდენი თეთრი მთავრობა აღიარა ანტანტამ ჩვენ ტერიტორიაზე, მაგრამ მუშათა და გლეხთა რესპუბლიკამ უარყო ისინი. ჩრდილებივით] მიდიან ჩვენს წინ მილიუკოვი, კერენსკი, კოლჩაკი, იუდენიჩი, დენიკინი და ვრანგელი. რამდენი შრომა დახარჯა მშრომელმა ხალხმა ამ გვირგვინის ან გენერლების მოსასპობად, და ფრონტის იქეთა მხრეს კიდევ არიან სულელები, რომლებიც აიმედებენ თავს, თითქოს ისინი იყვნენ ხალხთან. მაგრამ მუშათა რესპუბლიკა, რომელსაც სცნობს მთელი პროლეტარული ქვეყანა, აიძულებს აგრეთვე მტრებსაც იცნონ და იგი მაშინ ეს ყოფილი ადამიანები შესწყვეტენ ლაპარაკს, თითქოს ბოლშევიკური ფსიქოლოგია მოინელა ხალხმაო.

სოციალისტების გამარჯვება.

„ცენტ.-აღმ. კომიტ. უწყებები“ სწერს: შეერთებულ შტატებში უკანასკნელ საპრეზიდენტო არჩევნებში სოციალისტურმა კანდიდატმა დებსმა 3 მილიონი ხმა მიიღო. ეს არის ჩრდილოეთ ამერიკის რევოლიუციონური მოძრაობის დიდი გამარჯვება.

შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ძნელია იმაზე ოცნებობა, რომ მუშათა კანდიდატი გავიდეს. ამერიკის ბურჟუაზია შეშფოთდა. საუკეთესო რევოლიუციონერები ციხეებში მოათავსა, ამიტომაც სოციალისტი პრეზიდენტი იმ მხარეში სადაც კაპიტალისტური რეაქცია ზეიმობს — წარმოუდგენელია. ამერიკის მშრომელმა ხალხმა, ეს გაითვალისწინა და სცდილობდა, მიეცა თავისი ხმა, რომ იგი ბურჟუაზიულ პარტიის უფრო სიმპატიურ კანდიდატისთვის არ დაკარგულიყო. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა მათ პოლიტიკურ ჩამორჩენილებას ამჟღავნებს. მაგრამ ამასთანავე 3 მილ. ხმა ნიშნავს შეერთებული შტატების პოლიტიკურ ცხოვრების წინ წაწევას. დებსი სოციალისტების კანდიდატია.

სამხრეთ სლავია და იტალია.

რომის ჟურნალ „იტალიას“ ცნობით სამხრეთ-სლავიასთან გამართულ კონფერენციაზე იტალიის მთავარი მოთხოვნილებანი ადრიატიკის საკითხის მოსაგვარებლად შემდეგია: 1) საზღვარი უნდა მოდიოდეს იულის ალპებამდე, 2) ფიუმეს სრული დამოუკიდებლობა. 3) ზარის დამოუკიდებლობა და, თუ შესაძლებელია, იტალიის მიერ მისი ანექსია. გაზეთი უმატებს, რომ მოლაპარაკება შეწყდება, თუ სამხრეთ-სლავიის დელეგაცია ამ პირობებს არ მიიღებსო.

ქემალი შეტევას აპირებს.

ფიქრობს რა, რომ საბერძნეთში შეიძლება ტახტის მემკვიდრის არჩევის საკითხის გამო არეულობა მოხდეს, ქემალი საბერძნეთის ფრონტზე შეტევის დაწყებას აპირებს ამ თვეში. მის განკარგულებაშია 5 კორპუსი.

ჰავასის ცნობით იტალია და სამხრეთ სლავიის ორ სხდომას, რომელიც ორშაბათს მოხდა არავითარი შედეგი არ მოუტანია. გრაფი სფორცა რამდენათაც შესაძლებელი იყო დათმობის გზას ადგა.

გაფიცვის დასრულება.

ზემო-სილეზიაში ელექტრონის სადგურის მუშების გაფიცვა დასრულდა. იმედია რომ გაფიცვა ბერლინშიც მშვიდობიანათ დასრულდება.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ბოლშევიკები და აღმოსავლეთი.

ლონდონი. დეილი ტელეგრაფი იუწყება: სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებით ბოლშევიკები ცდილობენ აღმოსავლეთში პროპაგანდის გაძლიერებას. ამ მიზნით ოქროს ვალიუტით დიდ ძალი თანხა გადაგზავნეს ამსტერდამის ბანკის საშუალებით. ამსტერდამის ერთ ერთ ბანკში მიმდინარე ანგარიშზე შეტანილი 2 მილ. მან. „ტაიმსი“ იხილავს ქემალისტების მოძრაობას, აღნიშნავს ამ საქმეში ენვერ-ფაშას როლს და ბრალს სდებს გერმანიის მთავრობას, რომ მან ნაციონალისტთა ამ ბელადს დიდი მასპინძლობა გაუწია და მოსკოვშიც მშვიდობიანათ გაისტუმრა.

შიმშილობა რუსეთში.

პარიზი. „ტანს“ იზვესტიიდან მოჰყავს ცნობა ვოლგის გუბერნიებში გამეფებულ შიმშილობის შესახებ. საბჭოთა პრესის ცნობით რუსეთში მოსალოდნელია არა მარტო შიმშილობა, არამედ სათესლე ხორბლის უქონლობაც.

— ჰელსინგფორსიდან მოსული ცნობით კრონშტადტის მეზღვაურებმა ფრონტზე წასვლის ბრძანების შესრულებაზე უარი განაცხადეს. რამოდენიმე აჯანყებული დააპატიმრეს, აქედან ზოგი დახვრიტეს კიდევაც.

რუსი ინტელიგენტების ხმა.

პრაღა. „ვოლია რუსი“ ბეჭდავს 226 რუს ესერის, მენშევიკის, მაქსიმალისტის და ანარქისტის ხელმოწერილ მოწოდებას. ეს ხელმომწერლები მოსკოვის ციხეში სხედან. ამ მოწოდებაში აღნიშნულია მუშებისა და ინტელიგენტების საშინელი უკმაყოფილება ბოლშევიკებისადმი. სპეკულიაცია უმაგალითოდ ვითარდება. შიში იმდენათ ძლიერია, რომ მუშებს თავისი გულწრფელი აზრები ვერ გამოუთქვამთ.

გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა.

ლონდონი. „ფოსიშე ცაიტუნგი“ აღნიშნავს გერმანიის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას. ქვავი სავსებით არ მოსულა. შვრიის მოსავალი საშუალოზე ნაკლები იყო. მთავრობამ სასოფლო სამეურნეო პროდუქტებზე ისეთი დაბალი ნიხრი დააწესა, რომ გლეხებს პროდუქტი ბაზარზე გასასყიდათ აღარ გამოაქვთ. სიძვირე დღითი დღე იზრდება. მუშების შრომის ხელფასი 100% გაადიდეს. მოსავალი მხოლოდ კარტოფილის იყო კარგი. მთავრობა ღებულობს ზომებს რომ კარტოფილი იაფ ფასებში გაიყიდოს. გლეხები და მემამულეები მთავრობის ამ ღონისძიებას ებრძვიან. გაზეთის აზრით გლეხებმა სახელმწიფოებრივ ინტერესის თვალსაზრისით სასპეკულიაციო ფასებზე უარი უნდა სთქვან.

დამოუკიდებელთა პროტესტი.

ბერლინი. ფორვერტსი იუწყება: დამოუკიდებელთა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადასწყვიტა ცენტრალურ კომიტეტის წევრების საწინააღმდეგოთ მოსკოვში გაგზავნილ წერილის გამო პროტესტი განაცხადოს. გაზეთის ცნობით დამოუკიდებლებს გადაწყვეტილი აქვთ თვით დაიცვენ თავის სოციალისტური პრინციპების სიწმინდე.

სავაჭრო შეთანხმება რუსეთ ინგლისისა.

—„ფოსიშე ცაიტუნგი“ იხილავს იმ სავაჭრო შეთანხმების მუხლებს, რომელიც ინგლისის ფირმებსა და სამხრეთ რუსეთის წარმომადგენლებს შორის დაიდვა. საზარგო გემების მიმოსვლა უნდა დაემორჩილოს არსებულ საერთაშორისო ნორმებს. ვაჭრობის წარმოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ინგლისში და რუსეთში ოფიციალური საკონსულოები იარსებებს. საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებს იმ საქონლის რეკვიზიციაზე, რომელიც კერძო პირებს ეკუთვნის.

მობილიზაცია

გენერალურმა შტაბმა საყოველთაო მობილიზაციის შესახებ ყველა სამხედრო ნაწილის და სამხედრო აღრიცხვის უფროსებს სამაზრო ერობების თავმჯდომარეებს, ქ. ტფილისის თავს, და აფხაზეთის კომისარიატის თავმჯდომარეს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: იმ რთული მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქნა საქართველოს რესპუბლიკის მოსაზღვრე სახელმწიფოებში, მთავრობამ დაადგინა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი თავისუფლების დასაცავად გამოაცხადოს ნაწილობრივი მობილიზაცია 1890, 1891, 1892 და 1893 წლებში დაბადებულ რესპუბლიკის ყველა ქვეშევრდომ მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის კაცთა. მობილიზაციის პირველ დღეთ დანიშნულია 10 ნოემბერი ხოლო უკანასკნელ დღეთ კი 15 ნოემბერი. ამის გამო ვბრძანებთ: 1) მობილიზაციის სწორ, უცვლელად იქნას მიღებული სახელმძღვანელოთ მთავრობის ა/წ. 15 აპრილის დამტკიცებული რესპუბლიკის მოლაშქრე და სათადარიგო ჯარის-კაცთა გასაწვევი დასტურლამა. ამ დასტურლამის მე-12 მუხლის განსამტკიცებლათ გაწვევის დროს სრულიად განთავისუფლება ან განცხადების ვადის გაგრძელება მიეცეს მხოლოდ იმ პირთ რომელნიც აღნიშნულია ა/წ. 11 მაისის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 103 ნომერში მოთავსებულ რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილების მე-3 მუხლის პირველ, მეორე მესამე, მეოთხე და მეხუთე პუნქტებში. 2) სამხედრო ერთეულთა შეკრება მოხდეს თანახმად დასახელებულ დასტურლამის 21 მუხლში აღნიშნულ საგანგებო განაწილებისა, რომელიც დაუყონებლივ დაეგზავნება გენ. შტაბის მიერ დაწესებულებს. 3) მობილიზაციით გამოცხადებულთა სამხედრო ერთეულებში გადაგზავნ-გადმოგზავნა მოხდეს იმ 10 ჯარის კაცისა და ერთი ოფიცერის საშუალებით, რომელნიც უნდა გაიგზავნონ ერთეულთა უფროსების მიერ სათანადო სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსების განკარგულებაში თანახმად 27 ოქტომბრის № 4197 გენ. შტაბის დეპეშა-ტელეფონოგრამისა. 4) სამხედრო ერთეულების მიერ მოეწყოს თავიანთ მუდმივ ბინაზე გაწვეულთა ნორმალური მიღება განაწილება. 5) საქმეები ყველა იმ პირთა, რომელნიც სრულიად არ გამოცხადდებიან, ან და გამოცხადდებიან პუნქტებზე 15 ნოემბრის შემდეგ, სათანადო წესით გადაეცეს ადგილობრივ სამოქალაქო გამომძიებელს ხოლო თვით ჯარის კაცნი კი სამსახურისთვის სათანადო ერთეულებში განაწილების მიხედვით. 6) გასაწვევ წლების სახალხო გვარდიელნი გაწვეულ იქნებიან სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის განსაკუთრებული განკარგულებით. 7) მხედართ აღმრიცხველებმა დეპეშით აცნობონ გენშტაბს 11, 13 15 და 17 ნოემბერს რომელ ერთეულში რამდენი კაცი გაიგზავნა. 8) ამა წლის მორიგი გაწვევა გადადებულია განსაკუთრებულ განკარგულებამდის და ამავე დროს ადგილობრივ თვითმართველობებს და სამხედრო აღრიცხვის განყოფილებათა უფროსებს ვუბრძანებთ მიიღონ ყოველგვარი ზომები მორიგ გაწვევის წინასწარ მუშაობის საბოლოოთ დასამთავრებლად, რომ ის ჩატარდეს ყოველ მხრივ მწყობრათ. 9) ამ დეპეშის მიღება დეპეშითვე აცნობოს გენშტაბს ჩვენდა მოსახსენებლად. სამხედრო მინისტრი გ. ლორთქიფანიძე. შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი.

ახალი ამბები

სახალხო გვარდიის მობილიზაცია. სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის მიერ გამოცხადებული იყო მთელს რესპუბლიკაში მობილიზაცია ათი დღის ვადით განმეორებითი სამწყობრო მეცადინეობისათვის. სახალხო გვარდია უნდა შეკრებილიყო რვა ნოემბერს. როგორც მთავარ შტაბს ატყობინებენ ყველა ოლქებიდან, მობილიზაცია მთელს რესპუბლიკაში ბრწყინვალეთ ჩატარებულა. ორი დღის განმავლობაში მთავარი შტაბის ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი და მთელი გვარდია ფეხზე დადგა. მეცადინეობა სწარმოებს.

◆ **სასურსათო ცხოვრება.** ქალაქთა საბჭოს სასურსათო განყოფილებამ ბორჩალოს მაზრიდან მიიღო რამოდენიმე ვაგონი კარტოფილი და ხახვი, რომელიც ამ დღეებში გადაეცემა სასურსათო მაღაზიებს გასასყიდათ მცხოვრებლებზე.

◆ **სამხედრო მინისტრის დაბრუნება.** თფილისში დაბრუნდა და თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე, ამასთანავე ლორთქიფანიძე შეუდგა საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის ასრულებასაც.

◆ **ქართული დრამა.** დღეს მესამედ წარმოდგენილი იქნება შექსპირის ტრაგედია „ოტელო“, რომელშიაც დესდემონას როლს შეასრულებს ვ. ანჯაფარიძე, კასიოს ა. მურუსიძე, ემილიას ა. შოთაძე. დასაწყისი საღ. 7 საათზე, დასასრული 12 ს.

— მზადდება „მსხვერპლი“ ა. წუწუნავას რეჟისორობით, „უგვირგვინო მეფენი“ ა. ფაღავას რეჟისორობით, „ბერდო ზმანია“ ალ. ახმეტელის რეჟისორობით.

◆ **სახელმწიფო ბანკში.** სახელმწიფო ბანკის საბჭოს და გამგეობის შეერთებულ სხდომაზე განიხილეს გამგეობის მოხსენება იმ საფუძვლების შესახებ, რომელთა მიხედვითაც შეიძლება კრედიტების გახსნა.

◆ თელავს გაემგზავრა სოლქო სასამართლოს სესია სასამართლოს წევრის ორჯონიკიძის თავმჯდომარეობით. საქმეთა გარჩევა იწარმოებს თელავში ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით ნოემბრის 8—13 მდე.

— ნოემბრის 23—27 დუშეთში დანიშნულია სოლქო სასამართლოს სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

— მაიორ სვანიძის საქმე თფილისის ოლქის სასამართლოში 20 ნოემბერს გაირჩევა.

◆ **არჩევის წესი.** ქალაქთა კავშირმა დუშეთს, ოჩამჩირს, ხაშურს, ხონს, ქუთაისს და ბორჯომს წინადადება მისცა წარმოუდგინონ სამი დღის განმავლობაში ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტს საჭირო ცნობები არჩევნების წესის შესახებ. იმ შემთხვევაში თუ ეს ცნობები არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნულ დროში, დასახელებული ქალაქები არ იქნებიან შეტანილი იმ საერთო სიაში, რომელსაც უდგენს ქალაქთა კავშირი შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ **ამხ. ალ. ლომთათიძის მოხსენება.** დღეს, საღ. 7 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებაზე მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ამხ. ალ. ლომთათიძე. წევრებმა თან უნდა იქონიონ საწევრო ბარათები.

◆ **ინგლისელ ტყვეთა გაშვება.** ს. დ. სააგენტოს კორესპონდენტს ბრიტანეთის მისიამ შემდეგი ცნობა გადასცა: ნოემბრის 7 ბრიტანეთის უმაღლესი კომისარი პოლ. სტოკსი საფრანგეთის კონსულ ნეტმანთან ერთად მივიდა ფოილოში ბაქოდან განთავისუფლებულ ინგლისელ ტყვეების შესახვედრათ. ეს ტყვეები რიცხვით 63 კაცი ნოემბრის 8 თფილისში ჩამოვიდნენ. 63 კაცი 22 მეზღვაური, 12 ჯარისკაცი, 6 მოსამსახურე პირი, ოთხი ქალი, სამი ბავშვი და სხვ. ნოემბრის 8 ინგლისელები ბათომს წავიდნენ ინგლისში გასამგზავრებლად. ნოემბრის 9 ბაქოდან თფილისს ჩამოვიდა ბაქოს კონსული ხაულკეი, ბაქოში დარჩენილ 8 ინგლისელით. მათ შესახვედრათ წასული იყო ინგლისის მისიის მდივანი რუკერტი. აპრილის 27 დატყვევებულნი ინგლისელები ტყვეთა გაცვლა-გამოცვლის ნიადაგზე იქმნენ განთავისუფლებულნი. ბაქოში განთავისუფლებულ ინგლისელებზე საგიეროდ ინგლისმა გაანთავისუფლა მალტის კუნძულზე დაპატიმრებული ქემალისტები.

◆ **მე-7 რაიონული კოლექტივი** ს. სოც. დემ. მ. პარტიისა მოუწოდებს თავიანთ წევრთ აუცილებლათ შემოიტანონ 12 დღის განმავლობაში საწევრო გადასახადი. წინააღმდეგ შემთხვევაში გამორიცხული იქნებიან. ნავთლუღის შტაბის ბინა. დილის 10 საათიდან საღამოს 4-მდე.

◆ **ნაძალადევის სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს საღ. 6 ს., ნაძალადევის პლეხანოვის სახლობის მუშათა კლუბში დაიწყებს მოქმედებას სახალხო უნივერსიტეტის განყოფილება. გახსნაზე დასასწრებლად მოწვეულია კ. კაუცკი და ნოე ჟორდანია. აგრეთვე ყოველ ხუთშაბათობით საღამოს 6 საათზე იქნება წაკითხული სახალხო უნივერსიტეტის საუკეთესო ლექტორების მიერ ლექცია სხვადასხვა თემაზე. ვსთხოვთ მუშათა კავშირებს და პოლიტიკურ ორგანიზაციებს გააგებინონ თავ-თავიანთ წევრებს, რომ ისარგებლონ ფრიად საინტერესო და უფასო ლექციებით. რკ. გზის კულტ. განყ. კომისია.

◆ **გურიის სახალხო მასწავლებელთა საყურადღებოთ.** ამა წლის 14 ნოემბერს, დილის 12 საათზე დანიშნულია გურიის სახალხო მასწავლებელთა კავშირის დელეგატთა არა ჩვეულებრივი ყრილობა ქ. ოზურგეთში. სამაზრო გამგეობა სთხოვს თემის [illegible] გამოგზავნონ ყრილობაზე [illegible] დელეგატები 10 კაცზე ერთი კაცი. ყრილობაზე გააკეთებენ მოხსენებას სრულიად საქართველოს მასწ. კავშ. კონფერენციის დადგენილებათა შესახებ.

◆ **ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობა** მიმართავს „სახალხო საქმეს“, „საქართველოს“, „სხივს“ და „კომუნისტის“ რედაქციებს, თხოვნით, ვინაიდან ავლაბრის მუშათა კლუბის ახლად გახსნილი ბიბლიოთეკა სამკითხველო მატერიალურად სუსტია, ხელი შეუწყონ ზემოხსენებულმა რედაქციებმა ამ კულტურულ საქმეს და თავის გამოცემანი უგზავნონ უფასოდ.

◆ **ეროვნულ მუზეუმში.** ეროვნულმა მუზეუმმა გამოუშვა სატუნინის ნაშრომის მეორე ტომი კავკასიის ძუძუმწოვარ ცხოველთა შესახებ. ნაშრომს თანდართული აქვს 34 სურათი.

კრებები.

— დღეს საღამოს 5 საათზე შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა.

— დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე-6-ე რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა.

— დღეს, საღ. 5 საათზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა.

— დღეს საღამოს 6 საათზე შესდგება მეორე რაიონული კოლექტივის სხდომა.

— დღეს შესდგება მე-7 დე რაიონული კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა 4 საათზე.

პროვინციის ქრონიკა.

ბათომი. სიმართლეს მოკლებულ ცნობების გამო, რომელიც „ანკონა“ შესახებ გავრცელდა გემის კაპიტანმა კაფიელომ ბათომის სავაჭრო ნავთ-სადგურის გამგეს სპრინკველს პრესაში გამოსაქვეყნებლად ოფიციალურად შემდეგი განუცხადა: გემი „ანკონა“ იტალიის სახაზინო რკინის გზას ეკუთვნის და დატვირთულია საქართველოს კუთვნილ საქონლით. ეს გემი ბათომამდის არავის არ გაუჩერებია, თუმცა გზაში მას ხვდებოდენ მოკავშირეთა სამხედრო გემები. „ანკონა“ ყოველგვარ ძალდატანების გარეშე შემოვიდა ნავთსადგურში და თანახმად არსებულ წესებისა, განსაზღვრულ დროის გასვლის შემდეგ გაჩერდა იმ ადგილას, სადაც შეიძლებოდა მისი გადმოტვირთვა. ფირმის წარმომადგენლები, რომელმაც დატვირთეს „ანკონა“ უკვე ასრულებენ მოლაპარაკებას იმ საქონლის ფასების შესახებ, რომლებიც საქართველოს ესაჭიროება. გემის გადმოტვირთვა უახლოეს დროში დაიწყება. ბოროტი ხმები იმის შესახებ, თითქოს ეს საქონელი საბჭოთა რუსეთისათვის ყოფილიყოს გაგზავნილი, მოკლებულია ყოველგვარ სიმართლეს. ფირმის და გემის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიმართეს სპრინკველს შუამდგომლობით, რომ მას უარეყო სიმართლეს მოკლებული ცნობები.

„სახალხო საქმეს“ რედაქციას

„სახალხო საქმეს“ მე-974 ნომერში თქვენ თანხმობას აცხადებთ სამედიატორო სამართალში გამოყოლაზე, სადაც თქვენი მეპრე ალბათ დაამტკიცებს, რომ მე ოდესმე, სადმე, რაიმე დამოკიდებულება მქონია დეზერტირობასთან და მის მფარველობასთან, ვინც უნდა ყოფილიყოს ის—შინაგანი თუ გარეგანი. მე სიხარულის მეტი არა დამრჩენია რა, და რომ ყოველ ცილის წამებას ბოლო მოეღოს, ჩემ მედიატორებათ ვასახელებ სეით დევდარიანს და ვიქტორ თევზაძეს.

ველი თქვენგან მედიატორების დასახელებას.

გაბი.

ქალაქთა კავშირში

ნ. ელიავას და შემდეგ მ. რუსიას თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომები. მოისმინეს კომიტეტის მდივნის მადიასოვის მოხსენება მილიციის წესდების პროექტის შესახებ, რომელიც ქალაქთა კავშირის ცნობისათვის აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტრომ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს პროექტი აგროვებს დღევანდელ კანონმდებლობას მილიციის შესახებ, შეაქვს მასში მეტი გარკვეულობა, მაგრამ ამასთანავე შეაქვს ერთგვარი სიახლე, რომელსაც მომხსენებლის აზრით შეუძლია გაუმჯობესება შეიტანოს არსებულ კანონმდებლობაში. პროექტში წინადადებულია უფლება მინისტრისა დაითხოვოს თვითმართველობის მიერ არჩეული მილიციის უფროსი. ასე რომ დათხოვნილს არ ექნება უფლება განასაჩივროს მინისტრის განკარგულება სასამართლოს ინსტანციებში. შინაგან საქმეთა სამინისტრო იღებს უფლებას იქონიოს მილიციასთან უშუალო დამოკიდებულება, მისცეს მას წინადადება, დაავალოს მას ან მთელ კომანდას ამა, თუ იმ საქმის ასრულება. გარდა ამისა მილიცია იმ საკითხებში, რომლებიც სახელმწიფოებრივ წესრიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დაცვასთან არის დაკავშირებული, პროექტის ძალით უნდა დაექვემდებაროს სამაზრო მილიციის უფროსს. მომხსენებლის აზრით ასეთი დებულება გამოიწვევს ზოგიერთ შეხლა შემოხლას ადგილობრივ თვითმართველობასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. კამათი ამ საკითხის შესახებ შემდეგი სხდომისთვის გადაიდვა. (სდს).

მუშათა კოოპერატივი ალორძინება

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატი და მუშათა კოოპერატივ „ალორძინების“ გამგეობა მოაგონებენ თფილისის ყველა მუშა-მოსამ-

სახურეთ სეკრეტარიატის დადგენილებას მუშათა კოოპერატივ „ალორძინებაში“ წევრათ ჩაწერის შესახებ. საწევრო გადასახადი—100 მან. საპაიო—1000 მან. რომელიც სამ ნაწილათ უნდა იქნას შეტანილი. სეკრეტარიატი და გამგეობა მოუწოდებს მუშებს დააჩქარონ საწევრო და საპაიო გადასახადების გადახდა; პირველათ ოთხასი მანეთი, შემდეგ სამასსამასი მან. ორი თვის განმავლობაში. ამით „ალორძინების“ გამგეობას საშუალება მიეცემა დროზე შეიძინოს და მიაწოდოს წევრებს საჭირო სანოვაგე და სხვა პირველ მოთხოვნილების საგნები. წევრათ ჩაწერა შეიძლება მუშათა სახლის მესამე სართულში „ალორძინების“ კანტორაში და საზოგადოების შემდეგ მაღაზიებში: 1) ვერაზე, ოლღას ქ. № 26. 2) მთაწმინდაში დავიდოვის და მელიქოვის ქუჩების კუთხეში. 3) ავლაბარში კახეთის მოედანზე № 2. 4) პირველ თუმანოვის ქუჩაზე № 1. 5) მილიუტინის და ჩერქეზიშვილის ქუჩების კუთხეში. 6) ნაძალადევში იურიევის და მაგისტრალის ქუჩების კუთხეში. 7) საბაქოს ქუჩაზე № 4. 8) დიდუბეში ელისაბედის და შერემეტიევის ქუჩების კუთხეში. 9) ხაბურთალოზე სამხედრო გზაზე კომისარიატის პირდაპირ. 10) ერთობის უბანში თავისუფლების ქუჩაზე № 28.

თფილისის პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატი და მუშათა კოოპერატივ „ალორძინების“ გამგეობა.

ქუთაისის მომ. საზ. „კოოპერაცია“

კვირას, 31 ოქტომბერს მუშ. კლუბი „ინტერნაციონალში“ შესდგა ჯაფარიძის თავმჯდომარეობით მომხ. საზ. „კოოპერაციის“ არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) საპაიო გადასახადის გადიდება. 2) განხილვა პროექტის, რწმუნებულთა კრებაზე გადასვლისა. 3) არა წევრთათვის სადილის მიწოდება. 4) საკუთარი ფურნის ასაშენებელი ფონდის დაარსება და 5) წესდების მე-8 მუხლის შენიშვნის ცხოვრებაში გატარება.

პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს კ. კანდელაკი, რომელიც აღნიშნავს რომ ფულის კურსი თანდათან ეცემა, ჩვენ გვქონდა საწევრო გადასახადი 28 მ. და 6000 წევრიდან ეს ფული სრულად მხოლოთ 4000 წევრს აქვს გადახდილი, და ეს თანხა ნახევარი ინვენტარშია დაბანდებული. ესეც, რომ არ იყოს ფულის კურსი ისე დაეცა, რომ საპაიო გადასახადის გადიდება აუცილებელიაო.

კრებამ იქონია რა მსჯელობა დაადგინა საპაიო გადასახადი გად-დეს 500 მანეთით, რომელიც წევრებმა უნდა გადიხადონ ერთს თვეში.

მეორე კითხვაზე მოხსენება გააკეთა ერ. კავჟნიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კრებებზე სრული შემადგენლობა წევრების ერთადოდეს არ ესწრება, ამიტომ გვიხდება კრების მეორეთ და მესამეთ მოწვევაო. ჩვენ გვაქვს ქალაქის სხ. და სხ. უბნებში კიოსკები, და გამგეობა ფიქრობს ამ უბნების აარჩევიოს რწმუნებულები, ამ რწმუნებულებს ექნებათ ყველა უფლება, მხოლოდ საზოგადო კრების უფლებაში იქნება წესდების შეცვლა, და დაწესებულების ლიკვიდაციის საკითხი.

გაიმართა ამ კითხვის გარშემო კამათი; ზოგი მოითხოვდა გამგეობასთან არჩეული ყოფილიყო სხვადასხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებიდან მრჩეველი საბჭო. ზოგი მოითხოვდა, რომ უბნებში არჩეულიყო კიოსკების გარშემო საუბნო კომიტეტები, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებდენ კიოსკების მოქმედებას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა, რომ ვინაიდან რწმუნებულთა არჩევის საკითხი საკმაოთ არ არის გაშუქებული დაევალოს გამგეობას ეს კითხვა უფრო ვრცლათ დამუშავებული წარმოუდგინოს მომავალ საზოგადო კრებას.

მესამე კითხვის არა წევრთათვის სადილის მიწოდების შესახებ კ. კანდელაკი, მოახსენებს კრებას, რომ, როდესაც ჩვენი წევრი ყიდულობს სავაჭროდან საქონელს, მას ყოველთვის პრივილეგია აქვს არა წევრთან შედარებით, მხოლოთ ასე არ ხდება სასადილოში, აქ ყველა ერთნაირ პირობებშიაო, ამიტომ გამგეობა ფიქრობს საზოგადოების მოსადილე წევრი პრივილეგიურ მდგომარეობაში იყოს არა წევრთან შედარებით. გამგეობამ დაადგინა: არა წევრს 20% მეტი გადაახდევინოს სადილზე, ვინემ წევრს. კრებამ ეს წინადადება უკამათოთ მიიღო.

ფურნის ასაშენებელი ფონდის შესახებ გამგეობა აცნობს თავის აზრს დამსწრეთ, რომ საჭირო და აუცილებელია საკუთარი ფურნის აშენობის შეძენა. მართალია შეიძლება ეს ამ მოკლე დროში ვერ მოხერხდეს, მაგრამ ამ მიზნით უნდა შევუდგეთ თადარიგს და შევქნათ ერთნაირი ფონდი. ამ მიზნისთვის, გამგეობის აზრით ყოველმა წევრმა ამ მიზნით ფურნის ფონდისთვის უნდა გადაიხადოს 300 მან, რომელიც გადახდებათ ერთი წლის განმავლობაში ყოველ 4 თვეში ასი მანეთი.

მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო გამგეობის ეს წინადადება.

მეხუთე კითხვა წესდების მე 8 მუხ. შენიშვნის ცხოვრებაში გატარების შესახებ. გამგეობა აცნობს კრებას, რომ გამგეობა უკვე შეუდგა ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებას, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რადგან „კოოპერაცია“ მუშათა კოოპერატივათ გადაკეთდა, ამიტომ ყველა ვაჭრები უნდა გამორიცხული იქნას „კოოპერაციის“ წევრობიდან.

კრებამ დაავალა გამგეობას, რაც შეიძლება დაჩქარებით დაამთავროს ეს მუშაობა.

ი. ნაკაშიძე.

უცხოეთი

გერმანია

კომუნისტური დიქტატურა.

პრაგის „ვოლია როსიაში“ (რუს. ესერების ორგანო) სწერია:

ინტერნაციონალის სტატუტებში მე-3 პარაგრაფში აღნიშნულია, რომ ყველა მე-3 ინტერნაციონალში შესულ პარტიას უნდა ჰქონდეს შემდეგი სახელწოდება „კომუნისტური პარტია ამა და ამ ქვეყნისა“. (კომუნისტურ ინტერნაციონალის სექცია) ყოველივე ქვეყანაში შეიძლება იყვეს მხოლოდ ერთი კომუნისტური პარტია.

გაზ. „როტე ფანე“-ს კვირის ნომერში არის ცნობა, რომ გერმანიის კომუნისტურ პარტიას ამის შემდეგ ასეთი სახელწოდება ექნება: გერმანიის კომუნისტური პარტია მე-3 ინტერნაციონალის სექცია.

სახელწოდების ასე შეცვლის მიზეზი ნათელია.

ამით კომუნისტები აცხადებენ, რომ დამოუკიდებელთა ის ნაწილი, რომელიც მოსკოვის პირობებს მიიღებს—უნდა გაითქვიფოს კომუნისტურ პარტიაში.

თავის მოხსენებაში მოსკოვის შესახებ, კომუნისტების ბელადმა, დ—რმა ლევიმ დაამშვიდა თავის თანამოაზრენი, რომელთაც ეშინოდათ, რომ კომუნისტების „სიწმინდე“ შეიძლება შეილახოს დამოუკიდებელთა მე-3-ე ინტერნაციონალში შესვლითო, შემდეგი სიტყვებით:

„ჩვენ ისე დაუსვამთ პირობებს, როგორც ეს ჩვენ გვესმის, და დასვამთ გაცილებით უფრო მწვავეთ, ვიდრე ამის ატანა შეეძლოთ გერმანიის დამოუკიდებლების კაცუნებს. სახელწოდების შეცვლა ხსნის ამ სიტყვების აზრს. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს სურს ახალ პარტიაშიაც შეინარჩუნოს თავისი ხელმძღვანელი როლი ამიტომ ის უკვე ეხლავე აცხადებს თავის პარტიას ერთად-ერთ, მოსკოვის პირობებთან სრულიად სოლიდარულ პარტიად.

ტალგეიმერის წერილი „როტე ფანე“-ში ადრმავებს იმავე გაზეთის მიერ რამდენიმე დღის წინ დაბეჭდილ ცნობას.

გერმანიის დამოუკ. სოციალ დემოკრატიულ პარტიის იმ ელემენტებმა, რომელთაც ეშინიანთ თავის გავლენის დაკარგვისა და ამიტომ, რათაც არ უნდა დაუჯდეთ—სურთ მე-3 ინტერნაციონალში შესვლა—დეე იცოდნენ, რომ მე-3 ინტერნაციონალის პრინციპები ვერ გახდება ყიდვა გაყიდვის საგანი, რომელიც შეიძლება დაკლებულ ფასებში გაიყიდოს. თუ ისინი ფიქრობენ, რომ „შეთანხმების“ გზით რამეს მიაღწევენ—მწვავეთ სცდებიან, აქაც შეთანხმებითი ზავი—იგივე უტოპიაა.

ფარდები ჩამოეშვა. ჩვენმა პარტიულმა ამხანაგებმა იციან ეხლა, თუ რა უნდა აკეთონ. ვინც მიიღებს მოსკოვის პირობებს—მან უნდა დასწვას თავის უკან ყველა ხიდები. იმას აღარა აქვს კავშირი ძველ ამხანაგებთან, რომლებთანაც მხარდა-მხარ იბრძოდა ის აქამდის. ის უნდა დაემორჩილოს კომუნისტურ პარტიას, ყოველივე თვით გამორკვევის უფლება მისთვის მოსპობილია, მან მხოლოდ უნდა აასრულოს ის, რასაც უბრძანებენ კომუნისტური ინსტანციები.

კომუნისტი კომუნისტის წინააღმდეგ.

ცნობილმა ჰოლლანდიელმა კომუნისტმა ჰარტერმა დაბეჭდა ღია წერილი ლენინის სახელზე. ამ წერილში ჰარტერი გადაჭრით წინააღმდეგია რუსეთის ტაქტიკის და კლასობრივი ბრძოლის რუსულ მეთოდების სხვა ქვეყნებში მექანიკურათ გადატრიალებისა. ჰარტერი ასაბუთებს თავის აზრებს გერმანიის მაგალითით. ის სდუმს: „რუსეთის პროლეტარული მასები ჯერ კიდევ ომის დროს დარწმუნდნენ, რომ გლეხობა იმათ მხარეზე იქნება. გერმანიის მუშებმა კი იციან, რომ კაპიტალისტური საზოგადოება ყველა მისი კლასებით მათი წინააღმდეგი იქნება. მართალია, გერმანელ მუშების რიცხვი ომამდის 20 მილიონამდის აღწევდა, მაგრამ ეს მაშინ, როცა საერთო რიცხვი მცხოვრებლებისა 70 მილიონი იყო და ყველა სხვა კლასები პროლეტარიატის წინააღმდეგ იყვნენ დარაზმულნი. გერმანიის მუშათა კლასის წინააღმდეგ გაცილებით უფრო მძლავრი კაპიტალიზმი იბრძვის, ვიდრე რუსეთის მუშების წინააღმდეგ. ამასთანავე გერმანიის მუშები, წინააღმდეგ რუსებისა, არ არიან შეიარაღებულნი.

ამიტომ რევოლიუცია ყოველივე გერმანელ მუშისაგან მოითხოვს გაცილებით უფრო მეტ გამბედაობას და თავდადებას, ვიდრე რუს მუშისაგან. ეს გამომდინარეობს გერმანიის ეკონომიურ მდგომარეობიდან და კლასობრივ დიფერენციაციიდან და არა რევოლიუციონურ რომანტიკოსების, ან-და სუფთა თეორიის მიმდევარ ინტელიგენტების თეორიიდან ან წარმოდგენებიდან. რევოლიუციას აბსოლიუტიურათ არ შეუძლია ჰქონდეს გამარჯვების იმედი, თუ მთელმა მუშათა კლასმა ან-და, ყოველ შემთხვევაში, მისმა დიდმა უმრავლესობამ არ გამოიჩინა მთელი თავისი ძალღონის არა ადამიანურათ მიღების სურვილი, რომ მოხდეს რევოლიუცია ყველა სხვა კლასების სურვილის წინააღმდეგ. თქვენ ხომ დაადასტურებთ, რომ ჩვენი ტაქტიკის განსაზღვრის დროს ჩვენ უნდა იმედი გვქონდეს საკუთარი ძალებისა და არა გარედან დახმარებისა. შეიარაღებული თითქმის შეუბრალებელი, განცალკევებული პროლეტარიატი, რომელსაც არა აქვს გარედან დახმარების იმედი, ისეთ ძლიერ კაპიტალიზმს, როგორც გერმანიის კაპიტალიზმია,—ეს ნიშნავს, რომ ხელავე პროლეტარიატში, მას დიდ უმრავლესობაში შეუდრეკელ მებრძოლს, გმირს ასეთია საქმის ვითარება მთელ დასავლეთ ევროპაში.

აქ, შეგნებული გადაწყვეტილებით აღსავსე პროლეტარიატის უმრავლესობა უნდა იყოს აბსოლიუტიურათ და შედარებითაც გაცილებით უფრო მეტი ვიდრე რუსეთში, რაც უფრო მაღალი ხდება კლასის მნიშვნელობა, მით უფრო დაბლდება ხელმძღვანელების მნიშვნელობა. ეს არ ჰნიშნავს, რომ უკვე ისპობა მოთხოვნილება—უკეთეს ბელადების ყოლისა. მაგრამ შედარებით მასების მნიშვნელობასთან ბელადების მნიშვნელობა ჰკლებულობს.

რასაკვირველია, ხელმძღვანელების მნიშვნელობა უნდა იყოს უზომოთ დიდი, რათა თქვენი ქვეყნის მსგავსად, 7 ან 8 მილიონიან პროლეტარიატმა დაიპყრას ქვეყანა 160 მილიონ მცხოვრებით. ამ გვარ დაპყრობის დროს გადამწყვეტ როლს თამაშობს ტაქტიკა. დიდ მნიშვნელობას ჰღებულობს ბელადის ტაქტიკა იქ, სადაც მის უკან სდგას მცირე ჯგუფი და სადაც საჭირო ხდება უცხო მასების ძალებზე დაყრდნობა. როდესაც, თქვენ, ამხ. ლენინო, დაიწყეთ ბრძოლა, —გყავდათ თავისთან მხოლოდ პატარა ჯგუფი პროლეტარებისა; მაშინ თქვენ დიდი იმედი გქონდათ თავის თავისა თავის ტაქტიკისა, რომელმაც ხელსაყრელ მომენტში გაიმარჯვა და თქვენ მხარეზე გადმოიყვანა დატანჯული გლეხობა.

მაგრამ რას ვხედავთ ჩვენ გერმანიაში? აქ უუჰკვიანეს ტაქტიკას, აზრის უდიდეს სინათლეს, უდიდეს გენიოს ბელადსაც არ შეუძლია ძლიერ ზეგავლენის მოცემა. აქ კლასთა შორის შეურიგებელი განხეთქილება სუფევს. მუშათა კლასი აქ თავის საკუთარ ძალებზეა დაყრდნობილი. ბრძოლის შედეგი დამოკიდებულია მის საკუთარ ძალებისაგან, მის საკუთარ მებრძოლების რაოდენობისაგან. და რადგან ც პროლეტარიატის მტრები აქ ძალიან მრავალრიცხოვანნი არიან და უფრო შეკავშირებულნიც, ვიდრე პროლეტარიატი, ამ პროლეტარიატის ძალა უნდა გამოიხატოს მის თვისებით უპირატესობაში.

თქვენ იდექით ბურჟუაზიულ კლასების წინააღმდეგ ისე, როგორც დავითი გოლიათის წინააღმდეგ. დავითი პატარა ტანისა იყო, მაგრამ მას ხელთ ეპყრა სიკვდილის მომტანი იარაღი. გერმანიის და ინგლისის პროლეტარიატი უპირდაპირდება კაპიტალიზმს, როგორც გოლიათი გოლიათს. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ძალას, განსაკუთრებით სულიერ ძალას.

ხომ არ შეგიმჩნევიათ თქვენ, ამხ. ლენინო, რომ გერმანიაში არ არიან „დიდი“ ბელადები? ისინი სრულიად ჩვეულებრივი ადამიანებია. ეს არის მოსასწავებელი, რომ აქ რევოლიუცია არის მასსების საქმე და არა ბელადების. ეს არის, ჩემის აზრით, ის განსაკუთრებული, უჩვეულო, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ყოველივე ის, რასაც აქამდის სადაც აწარმოებდნენ და ეს არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელს დასავლეთ ევროპაში, რადგანაც ყოველგან პროლეტარიატი მარტოკა სდგას. დასავლეთის რევოლიუცია იქნება მხოლოდ მუშათა მასების რევოლიუცია, და ამ მხრივ იქნება პირველი მთელს ქვეყანაში. იმის გამო, რომ აქ პროლეტარიატი მარტოკა უპირდაპირდება ბევრ უძლიერეს მტრებს—მისთვის აუცილებელია ჰქონდეს გაცილებით მეტი ძალები რევოლიუციისათვის ვიდრე ამას თხოულობდა რუსეთის რევოლიუცია.

განცალკევება, გარეშე დახმარების ყოველივე იმედების მოსპობა, მასსების უდიდესი მნიშვნელობა და შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ბელადებისა,—ასეთია ის საერთო საფუძვლები, რომლებზედაც უნდა ეყრდნობოდეს დასავლეთ ევროპაში პროლეტარიატის ტაქტიკა. ამას არ აქცევდა გერმანიაში ყურადღებას რადეკი და აგრეთვე ინტერნაციონალის „ისპოლკომი“ მოსკოვში და თქვენც როგორც ეს სჩანს თქვენი ნაწერებიდან.

ამ მოსაზრების გამო ჩვენ მივისწრაფოდით აგვეყვანა მასსა მთლიანად და ყოველივე პროლეტარი კერძოთ განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე. ჩვენ მივისწრაფოდით, რომ ყოველივე მათგანისაგან გამოსულიყო რევოლიუციონური მებრძოლი, ვუმტკიცებდით რა მათ არა იმდენათ თეორიულათ, რამდენათაც პრაქტიკულათ), რომ მათი ბედი დამოკიდებულია მხოლოდ მათზე რომ სხვა კლასების მხრივ დახმარების იმედი ფუჭია, რომ ბელადებიდანაც ისინი არ უნდა მოელოდნენ ბევრს თავისთავისაგან კი ყველაფერს.“

ჰარტერის ეს წერილი დაბეჭდილია „ფრაიჰაიტის“ 2 ოქტომბრის 1 ნომერში. ჰარტერი, როგორც ვიცით, ჰოლანდიის კომუნისტების უკიდურესათ მემარცხენე ფრთას ეკუთვნის.

ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტი

7 ნოემბერს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტის განყოფილებამ დაიწყო თავისი მოქმედება. ამ დღეს მოიყარა თავი ავლაბარში არსებულმა მუშათა, კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებმა და შარშანდელი სამასწავლო წლის მსმენელებმა. კრება გახსნა ავლაბრის მუშათა კლუბის თავმჯდომარემ ი. ხუციშვილმა,რომელმაც მუშათა კლუბის სახელით სალამი უძღვნა მსმენელთ.

სახალხო უნივერსიტეტის მთავარ გამგეობის სახელით სიტყვით მიმართა მსმენელებს ინსტრუქტორმა გრ. ლორთქიფანიძემ, რომელმაც მკაფიოდ გამართა დამსწრეთ ევროპის მუშათა მოძრაობა სახალხო უნივერსიტეტის გარშემო. მისასალმებელი სიტყვით აღნიშნეს ეს დღე მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ამხ. მ. წიწივაძემ, ნ. სხედნიამ იოს. ბ რამაზვილმა, მეტრეველმა, ავლაბრის სცენის მოყვარეთა ჯგუფიდან ე. კულულაშვილმა და სხვ.

შემუშავდა გეგმა მომავალი მუშაობისა. პირველი ლექცია დაინიშნა პარასკევს, 12 ნოემბერს სად. 5 საათზე, ლექცია წაიკითხება ქართულ და სომხურ ენებზე კვირაში თითოჯერ. თუ მსმენელთა საკმაო რიცხვი აღმოჩნდა წაკითხული იქნება რუსულ ენაზედაც.

ვერხვი.

მცირე განმარტება

გაზეთ „ერთობის“ 2 ნოემბრის ნომერში მოთავსებული იყო ანგარიში თფილისის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობის სხდომისა, ვინმე ქურუ ლორიას ხელმოწერით. ამ სხდომაზედ განხილული ყოფილა მოსამსახურეთა სურსათის მომარაგების საკითხი. სხვათა შორის, როგორც აღნიშნულ ანგარიშიდან სჩანს, ყრილობას მსჯელობა ჰქონია ჩემი პოლიტიკის შესახებ მოსამსახურეთა სურსათის მომარაგების საკითხში.

თურმე მე, როგორც ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა, შევაფერხე მუშა-მოსამსახურეების გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარება, რადგანაც „რამდენიმე წარმოების უფროს ინჟინერებითურთ მოვინდომე ქალაქის ორიოდ წარმოების მუშები (მაგალ. ქალაქის სასაკლაოს და წყალსადენის ქარხნის მუშები) შემეკავშირებია და მხოლოდ მათთვის დამეარსებია კოოპერატივი... ამ გვარად, მე ბრალი მედება რამოდენიმე წარმოების მუშების სხვა მოსამსახურეთაგან გამოწვევის სურვილში და ეს ვითომდა ჩემი პოლიტიკა ყრილობას დაუგმია.

სხვა დროს, შეიძლება, არც კი მივექცია ყურადღება ამ გვარი ცილისწამებისათვის, მაგრამ დღეს, როდესაც სურსათ-სანოვაგის საკითხი მეტად მწვავედ სდგას ჩვენ წინაშე და მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღების მიქცევას, არ შემიძლიან არ გავაცნო საზოგადოებას საქმის ფაქტიური მხარე.

გავყვეთ ფაქტებს კვალდაკვალ.

მე მაბარია წარმოებათა განყოფილება (ტრამვაი, წყალსადენი, სასაკლაო, ელექტრონის სადგური, განათება და აბანოები), რის გამო ყოველ დღიურად მიხდება ხსენებულ წარმოებებში მომუშავე მუშებთან შეხვედრა და მათთან ლაპარაკი. ჯერ ისევ ენკენისთვის პირველ რიცხვებში ტრამვაის მუშა-მოსამსახურეები შეუდგნენ თავიანთ შორის ფულის შეგროვებას (1.000 მან. თითოზედ) სურსათ-სანოვაგის შესაძენათ, შემდეგ ესევე საკითხი დაისვა წყალსადენის მუშებში. ჩემის აზრით საჭირო და აუცილებელი იყო გამგეობა გამოხმაურებოდა მუშების ასეთს ნაბიჯს და ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა მათთვის.

ამისთვის 30 ენკენისთვეს წარმოების გამგეობის საშუალებით (უმრავლესობა ინჟინრები არიან) მივეცით მუშებს შემდეგი წინადადება:

1. უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ **ყველა წარმოების მუშა-მოსამსახურეები შეერთდნენ და აირჩიონ კომიტეტი.**

2. ქალაქის გამგეობა გადასცემს არჩეულ კომიტეტს 1.700.000 მან. ღირებულების საქონელს (წარმოებებში დაახლოვებით 1.700 კაცია) დაახლოვებით 50% ნაკლებს, ვიდრე ბაზარზე ფასობს.

3. საქონელი გადაიცვლება სანოვაგეზედ ბაზრის ფასების მიხედვით, ხოლო დანაწილების დროს ნავარაუდევი იქნება ფასები, რომელშიაც დაუთმო ქალაქმა; ამ რიგათ, მუშა-მოსამსახურეებს ეძლეოდათ საშვალება, შედარებით იაფ ფასებში, შეეძინათ სანოვაგე.

ეს წინადადება მიიღეს მუშა-მოსამსახურეებმა, აირჩიეს კომიტეტი, რომელმაც გამოჰყო აღმასრულებელი ბიურო, შეუდგნენ მუშაობას და რამდენიმე პრაქტიკული ნაბიჯი კიდევაც გადასდგეს.

ეს მოხდა წარმოების მუშებში. აქედან მკითხველი დაინახავს, რომ მე არა თუ რომელიმე წარმოების მუშების გამოთიშვა მდომებია, პირიქით, მე მსურდა ყველა იმ მუშების შეკავშირება სურსათით მომარაგების საკითხში, რომელნიც ჩემდამი რწმუნებულ განყოფილების ყველა წარმოებაში არიან დაკავებულნი.

მე არც ის მითქვამს, რომ დანარჩენ მუშა-მოსამსახურეთ ნუ შეიერთებთ მეთქი. მე ვეცადე შემეკავშირებინა, უპირველეს ყოვლისა, ის მუშები, რომელთანაც მე ყოველდღიურ მუშაობას ვაწარმოებ და, თუ უფრო ფართოთ დაისმოდა საკითხი, მე არც ამის წინააღმდეგი ვიქნებოდი, რაც დაამტკიცა ჩემმა და მთელი გამგეობის შემდეგმა მოქმედებამ.

ალბათ ჩემი მუშებთან მოლაპარაკების შედეგის გაგების შემდეგ თვითმართველობის მუშა მოსამსახურეთა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა (ამ კავშირში, გარდა სასაკლაოს და წყალსადენის სახელოსნოს მუშებისა, სხვა წარმოების მუშები არ შედიან) მიმდინარე წლის 18 ოქტომბერს, მე, როგორც ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს, გადმომცეს შემდეგი მოთხოვნილება: „კავშირს სურს სურსათ-სანოვაგით მომარაგება წევრებისა, ამისათვის ის თავის წევრთა შორის აგროვებს თითოზე 1000 მან. და მოითხოვს ქალაქის გამგეობისაგან, რომ იმანაც გაიღოს თვიურულ მოსამსახურეზედ 1000 მან. და დაუთმოს კავშირს დაკლებულ ფასებში მის განკარგულებაში მყოფი საქონელი“.

მუშა-მოსამსახურეთა ამ მოთხოვნილებას მე სრული თანაგრძნობით შევხვდი და იმავე დღეს დავსვი მათ მიერ წამოყენებული საკითხი გამგეობის სხდომაზე, მაგრამ, რადგანაც მოსამსახურეების წარმომადგენლები ამ სხდომას ვერ დაესწრნენ—კითხვა არ გადაწყვეტილა საბოლოოდ. შემდეგ მორიგ კრებაზედ ხელ მეორედ დაისვა ეს საკითხი მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენლების თანდასწრებით. გამგეობაც ისევე თანაგრძნობით შეხვდა ხსენებულ მოთხოვნილებას და პრინციპიალურად დადებითად გადაწყვიტა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო ტეხნიკურ წვრილმანების გამოსამუშავებლად არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია და დაევალა მას, შემდეგი სხდომისათვის, გამოერკვია ტეხნიკური წვრილმანები, მუშა-მოსამსახურეთა წარმომადგენლებთან ერთად და მოეხსენებინა გამგეობისათვის. შემდეგ, 1 ნოემბერს გამგეობამ განიხილა კომისიის მოხსენება და ერთხმივ დაადგინა: მის განკარგულებაში მყოფი საქონელი დაუთმოს მუშა-მოსამსახურეთ 50% დაკლებით ბაზრის ფასების მიხედვით. ეს დადგენილება, სამწუხაროდ, დღესაც მხოლოდ დადგენილება არის და სისრულეში ვერ მოდის.

წარმოების მუშები ქალაქის თვითმართველობის მუშა-მოსამსახურეთა კავშირში ჯერაც არ შედიან და ცალკე დგანან და, ამ გვარათ, ეს მეტის მეტი მწვავე და სასწრაფო საკითხი ჯერაც შეჩერებულია.

ნაწერიდან მკითხველი ნათლად დაინახავს რა პოლიტიკას ვაწარმოებდი მე, მქონდა თუ არა სურვილი რომელიმე ჯგუფის გამოთიშვისა მომარაგების საკითხში. ის ადვილად გამოარკვევს—თუ ვინ ფიქრობდა მუშა-მოსამსახურეების საკითხის პრაქტიკულ ნიადაგზედ დაყენებას, მის საწრაფოდ ცხოვრებაში გატარებას და ვინ ან რა მოსაზრებით შეუშალა მას ხელი ან რა შუაშია აქ მთავარი ინჟინერები—დაე თვით მკითხველმა გამოიტანოს თავისი მსჯავრი.

ი. ბეხელიძე.

ბ-ნ გ. ამირაჯიბის ბინის შესახებ

მკითხველმა შემდეგი გარემოება უნდა იქონიოს მხედველობაში, თუ სწორი მსჯავრის გამოტანა სურს.

1) უდავოთ უნდა ჩაითვალოს ის დებულება და აქამდე პრაქტიკაც მტკიცეთ ადგა იმას, რომ ბინის ანგარიშზე აღება სრულიად არ ნიშნავს ბინის მიმთითებელზე გადაცემას.

2) მეორე და აუცილებელი საფეხური ამ საკითხისა გახლავთ გამგეობის დადგენილება ბინის ამა თუ იმ პირზე გადაცემის შესახებ.

თუ ამის შემდეგ მკითხველი თვალს გადაავლებს ამირაჯიბის საჩივარს, სადაც თვითონ აღიარებს, რომ სტოკეს ბინის გასაღები მე 9 უბნის კომისარს ჰქონდა გადაცემული, აუცილებელია დასკვნა, რომ სტოკეს ბინაში შესვლელს, ამ შემთხვევაში ბ-ნ ამირაჯიბს, უთუოდ უნდა ეცნობებია თავისი სურვილი კომისარისთვის მაინც უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად. გამგეობამ კი აცნობა, მაგრამ უკანასკნელმა თავისი წევრის გ. კონიაშვილის პირით უარი უთხრა მას ამ ბინაზე.

ამირაჯიბი მეტათ უკმაყოფილო დარჩენილა ამ განაჩენით და თავის მხრით კონიაშვილისთვის განუცხადებია, რომ ის აუცილებლად შევა ბინაში თავის ნებით. ამ გადაწყვეტილებით გაშორებია ბ. ამირაჯიბი კონიაშვილს და სრულიად უყურადღებოთ დაუტოვებია უკანასკნელის განცვიფრება იმის გამო, რომ ძალადობის მუქარა ესმის მას კანონების მტკიცე დამცველისაგან.

ამას თუ შეუფარდებთ ბ. ამირაჯიბის ნაწერს (სახ. ს. № 965): „შესვლის დროს არ ვიცოდი, თუ ქალაქის გამგეობამ კანონიერათ თუ უკანონოთ ეს ბინა სხვას გადასცა, ვინაიდან ქალაქის გამგეობას არ გამოუცხადებია ჩემთვის ახალი დადგენილებაო“, აშკარათ დაინახავთ სიყალბეს, რომელმაც გამოიწვია გაუგებრობა და „სახალხოს“ ბევრი ენერგია დახარჯვია.

ქალაქის იურისკონსულტი **პარმენ კახიანი.**

დედათა და ბავშვთა დამცველ საზოგადოებაში

1920 წლ. 2 ნოემბერს საზოგადოების თავმჯდომარე ი. ი. ჟორდანიამ მოიწვია სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი, სადაც განხილულ იქნა საკითხი საზოგადოების დაწესებულებათა შესანახათ სახსრის აღმოჩენის შესახებ.

სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან დაესწრო დ. გ. აფხაზი, მეღვინეთა და მებაღეთა ყრილობიდან—ი. ზ. ანდრონიკოვი, ბანკთა კომიტეტიდან—წვერავა, და ე. ი. ვაინშტეინი.

„ჩემო“-ს საზოგადოებიდან—დ. გ. ჟურული, საზოგადოება „მეყვმე“-დან შ. ა. ქარუმიძე, ვაჭართა საზოგადოებიდან—ა. ნ. მილოვი, ხელოსანთა საზოგადოებიდან—ი. პარსეგოვი, ჰპათურის მარგანეცის მწარმოებელთაგან—ს ე. წერეთელი, ფაბრიკა ქარხნის საზოგადოებიდან—ტერ-ხაჩატურიანი და ა. ა. ცეიტლინი.

სახსრის საკითხის გამოსარკვევათ თათბირმა აირჩია კომისია, რომელშიაც შედიან: დ. გ. აფხაზი, ე. ი. ვაინშტეინი, გ. დ. ჟურული და წვერავა, რომელსაც დაევალა ახლო მომავალში შეიმუშაოს ზომები, რომ საკრედიტო ოპერაციის საშვალებით საზოგადოებამ შეიძინოს 6000,000 მანეთი, ან ვალდებულების ან საქონლის ქვეშ, რომ საზოგადოებას საშვალება მიეცეს შეიძინოს საჭირო მასალა. ამავე კომისიას დაევალა აღმოაჩინოს საშვალებები, რითაც უნდა დაიფაროს ეს ფული.

არჩეულ იქნა მეორე კომისია, რომელსაც დაევალა გამოიმუშაოს საკითხი წარმოების შესაქმნელად, რომლის შემოსავლიდან საზოგადოებამ უნდა შეინახოს თავისი დაწესებულებები. კომისიაში შედიან: გ. დ. ჟურული, ს. გ. წერეთელი, ა. ი. ტერ-ხაჩატურიანი და ა. ი. ცეიტლინი. აუცილებლათ აღმოჩენილ იქნას საშვალება, რომელიც საზოგადოებას მისცემს თვიურათ ერთ მილიონ მანეთ შემოსავალს. განზრახულია გეგმა ფურნისა და კინემატოგრაფის მოწყობისა.

თათბირზე დამსწრეთ გადასწყვიტეს ყოველივე ზომა მიიღონ, რომ იმ ორგანიზაციებში, რომლის წარმომადგენლებიც ისინი არიან, ხელი შეუწყონ ფულის შეგროვებისა და სახელდობრ: ა) ი. ზ. ანდრონიკოვმა—მევენახეთა შორის აღუთქვა ფულის გარდა შეაგროვოს კონიაკის და სხ. შეგროვება, ბ) დ. გ. აფხაზი და კ. ი. ვაინშტეინმა—ბანკებსა და მათ კლიენტებს შორის.

3) გ. დ. ჟურულმა—„ჩემოს“-ს საზოგადოების წევრთა შორის.

გ) შ. ა. ქარუმიძემ—მეცხვარეთა საზოგადოების წევრთა შორის. ამის გარდა აღუთქვა შეაგროვოს 300 გირვანქამატყლი ბავშვთა წინდების და თფილ ტანისამოსისათვის, ხოლო თავის მხრივ მომავალ ალეგრა-ლატარიისათვის შესწირა ცოცხალი ცხვარი.

დ) ა. მილოვმა უნდა შეაგროვოს ვაჭართა შორის. მანვე აღუთქვა საზოგადოების წევრ ქალებს დახმარება აღმოუჩინოს ლატარია ალეგრის ნივთების შეგროვებაში. ე) ი. ფარსაგოვმა აღუთქვა მოაწყოს სადურგლო და სხვა სახელოსნო ხელსაწყო მოაგროვოს იმ სახელოსნოს მოსაწყობათ, რომელშიაც ისწავლიან ობოლი ბავშვები. ჟ) ს. ე. წერეთელმა ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა და აქციონერულ საზოგადოების წევრთა შორის. ზ) ა. ი. ტერ-ხაჩატუროვმა—ფაბრიკა-ქარხნების საზოგადოების წევრთა შორის. ი) ა. ი. ტერ-ხაჩატუროვმა აღუთქვა საზოგადოებას საექიმო საჭიროებისათვის სუფთა ბენზინი. დ. გ. აფხაზმა—10 გირვანქა ნავთში შერეული ბენზინი ბუნდოვანი სურათებისათვის.

თათბირმა დაადგინა—მოწოდებით მიმართოს იმ ორგანიზაციებს, რომელთა წარმომადგენელნიც არიან თათბირზე, რომ მათ დახმარება აღმოუჩინონ ნივთების შემგროვებელს. ნივთების შეგროვება განზრახულია 24 ნოემბერს, კონცერტი 28 ნოემბერს, დახმარება აღმოუჩინონ აგრეთვე წარმოდგენას, რომელიც შესდგება 1 დეკემბერს, ამავე ორგანიზაციებმა უნდა მისცენ საზოგადოების წევრ ქალებს თავიანთი წარმომადგენელნი, რომელნიც მათ დაეხმარებიან ნივთების შეგროვებაში.

რეზოლიუციები მიღებული თელავის მაზრის სოც.-დ. ორგ. მე-3 კონფერენციაზე

მიმდინარე მომენტის შესახებ.

მოისმინა რა მოხსენება ამხანაგ სეით დევდარიანისა მიმდინარე მომენტზე კონფერენცია სავსებით იზიარებს მომხსენებლის დებულებებს და აღიარებს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კეთილდღეობა მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების დარაზმვას იმ საერთო პოლიტიკური ხაზის გასატარებლად, რომელზედაც სდგას ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი. კონფერენციას ღრმათა სწამს, რომ ერთსულოვნობით აღჭურვილი დემოკრატია გაუმკლავდება შინაურს და გარეშე დაბრკოლებებს და ნაცადი გზით განაგრძობს ბრძოლას მომავალი იდეალების განსახორციელებლად.

გაზეთ „ახალი სხივის“ შესახებ.

კონფერენცია დაუშვებლად და გამთიშველად სთვლის იმ აზრს, რომ ვითომ „ახალი სხივი“ მუშათა კლასის ერთად-ერთი გაზეთია, თუ ამ აზრს ადგილი ჰქონდა კომიტეტის ან რომელიმე მისი წევრის აგიტაციაში. კონფერენციის დაუშვებლად მიაჩნია აგრეთვე აგიტაცია „ახალი სხივის“ წინააღმდეგ, თუ ადგილი ჰქონია ამისთანა აგიტაციას.

ვინაიდან გაზეთ „ახალი სხივის“ არსებობას არა აქვს არავითარი პრინციპიალური უთანხმოების ნიადაგი, ხოლო მოსალოდნელი კი არის, რომ ამან პარტიაში შექმნას გამთიშველი პირობები, კონფერენციას სასურველად მიაჩნია, რომ „ახალი სხივის“ თანამშრომლები შეუერთდნენ ცენტრალურ კომიტეტის ორგანოებს „ერთობას“ და „ბარბაცს“, სადაც სავსებით დასაშვებია და აუცილებელიც, თავისუფალი კრიტიკა და რის შემდეგაც მოწინააღმდეგებს მოესპობათ საშუალება ისარგებლონ „ახალი სხივი“-ს ცალკე არსებობით ჩვენი პარტიის წინააღმდეგ.

სამაზრო კომიტეტის მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ მოისმინა რა სამაზრო კომიტეტის მოხსენება ვერ სცნო დამაკმაყოფილებლად მისი პარტიული მუშაობა.

პარტიულ მუშაობაზედ.

პარტიული მუშაობის გასაცხოველებლად კონფერენცია საჭიროდ სთვლის მიღებულ იყოს შემდეგი ზომები: 1) ყველა პარტიულ ძალების შემოკრება და მისი მიზან შეწონილად გამოყენება; 2) ორგანიზაციების მოწყობას და განმტკიცებას მთელ მაზრაში; 3) მჭიდრო კავშირს სამაზრო კომიტეტის და ადგილობრივ ორგანიზაციებისას; 4) სისტემატიური კრებების მოწყობას მიმდინარე პოლიტიკური და ორგანიზაციული კითხვების გასარჩევად; 5) პარტიული ლიტერატურის გავრცელების ხელის შეწყობას; 6) ცენტრალურ კომიტეტთან მჭიდრო კავშირის დაჭერას ადგილობრივ მუშაობის სახელმძღვანელოთ.

სამაზრო ერობის გამგეობის მუშაობის შესახებ.

მოისმინა რა სამაზრო ერობის გამგეობის მოხსენება კონფერენცია საერ-

თოდ დამაკმაყოფილებლად სთვლის გამგეობის მოქმედებას და გამოსთქვამს სურვილს, რომ გამგეობამ მიიღოს მხედველობაში მომავალ თავის მოქმედებაში ის შენიშვნები, რომლებიც კონფერენციაზე იყო გამოთქმული.

მისალმებანი.

მთავრობის თავმჯდომარეს.

თელავის მაზრის ს.-დ. ორგანიზაციათა მე-3 კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ—ბელადს და მედროშეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისას. კონფერენცია გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოთ.

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს.

თელავის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების მე-3 კონფერენცია მიესალმება რესპუბლიკის კანონმდებელ დაწესებულებას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს.

თელავის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მე-3 კონფერენცია მხურვალეთ მიესალმება საქართველოს იმედს და სიამაყეს—სახალხო გვარდიას და უსურვებს მას განაგრძოს თავისი დიადი საქმე რესპუბლიკის ყველა ხიფათისაგან დასაცავად.

კარლ კაუცკის.

თელავის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციათა მე-3 კონფერენცია მოგესალმებათ თქვენ, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატის და სოციალიზმის ძვირფას ბელადს და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

მალარიის შესახებ

ამ უკანასკნელ წლებში მალარიამ მიიღო საქართველოში ფართო ხასიათი. ეს ავადმყოფობა მძვინვარებს უმთავრესად ზაფხულში, როცა სოფლად გაჩაღებულია მომატებული მუშაობა და დიდი ძალი მუშა, შეპყრობილი ამ სენით, იძულებულია მისცდეს თავის საქმეს; გარდა ამისა ბევრი სამუდამოთ სნეულდება და ჰკარგავს შრომის უნარს, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფო ეკონომიურ მდგომარეობას. და ეხლა, როცა ჩვენ განვიცდით ამ ნაირ დიდ კრიზისს საჭიროა მიექცეს ამ მოვლენას ჯეროვანი ყურადღება. თფილისის სამაზრო ერობის მედიკო-სანიტარული განყოფილება აპირობს მომავალ სეზონში მიიღოს მაზრაში ზომები ამ სენთან საბრძოლველად და ამისათვის სცნო საჭიროდ ეხლავე შეუდგეს ქვეით აღნიშნულ ცნობების შეკრებას. მართალია ამ ცნობებს არ ექნებათ ნამდვილი სამეცნიერო ხასიათი, რადგანაც ჩვენში სტატისტიკა საზოგადოთ ჯეროვან ნიადაგზე არ არ არის დაყენებული, მაგრამ ეს ცნობები გაგვიხელენ თვალებს და გაგვიადვილებენ მალარიასთან საბრძოლველ გეგმის შემუშავებას.

ამ მიზნით ყველა თფილისის მაზრის ერობის უბნის ექიმებს ეგზავნებათ შემდეგი კითხვები.

პასუხის დამუშავებას უნდა შეუდგენ მალარიის სეზონის გათავების შემდეგ (ნოემბრის ბოლო რიცხვებში) და წარმოადგინონ 15 დეკემბრამდის. პასუხი უნდა იყოს შედგენილი რაც შეიძლება მოკლედ და სავსებით შემუშავებული.

1) დასახელება მთელ უბნის სოფლების, 2) მოკლე ტოპოგრაფია უბნისა (ვაკე ადგილები, მთეში, გორაკები, ღელეები და სხვა), 3) ნიადაგი მიწისა: თიხოვანი, ქვიშიანი, შავი მიწისა და სხვა, 4) სინოტიე მიწისა მისი გამჭვირვალობა, სანიადაგო წყლის სიღრმე (ჰაში), 5) წვიმების სიხშირე, 6) მოკლე ჰიდროგრაფია: ტბები, მდინარეები, დრო წყალდიდობისა და წყლის დაპატარავებისა, მისი სიბინძურე, გუბეები, ნაკადულები, სარწყავი არხები და ჭაობები (მათი სივრცე და თვისება: ღრმისა და სხვა), 7) ქარები: ძლიერება, ხანგრძლობა, მიმართულება, 8) კოღოების გაჩენის დრო და მეტეოროლოგიური მოქმედობა კოღოების გამრავლებაზე. 9) რაოდენობა მცხოვრებლებისა, კომლობრივი რაოდენობა (დაახლოვებით), ეროვნება, ხელობა, ციებიან ადგილებში წასვლა სამუშაოდ, რამდენად მიუკარებელია. შენობები კოღოებისათვის. ძილი ცის ქვეშ და სახლებში. 10) როგორ იკვებებიან მცხოვრებლები. კულტურული განვითარება, სკოლები, რამდენად გავრცელებულია ხალხში წერა-კითხვა. 11) მალარიის ფორმები: ერთდღიური, სამდღიური, არეული და ჩუმი. 12) მალარიით ავადმყოფობის სტატისტიკა მთელ სეზონში. რომელი წლოვანობა უფრო შეპყრობილია ამ სენით. რომელ სოფლებში უფრო მძვინვარებს მალარია. 13) სად ხდებიან ხშირად ავად: სახლში თუ სხვაგან. 14) რას აწერს უმეტეს ნაწილად ხალხი მალარიით ავად გახდომას: გაციება, დიდი ჯაფა, ბინძური წყალი და სხვა. 15) სიხშირე ახალ და ქრონიკულ შემთხვევებისა. 16) რეციდივების სიხშირე მთელ სამალარიო სეზონში. 17) რამდენად ქინა - ქინა გავრცელებულია ხალხში საკუთარი ინიციატივით შეძენილი და ამბულატორიის სახით, 18) როგორ ხშირად უკეთებდით კან ქვეშ ქინაქინას, 19 რა გვარ წამლობას მოჰქონდა კარგი შედეგი (ქინაქინა, დარიშხანა, რკინა, და სხვა), 20) რამდენი ქინაქინაა საჭირო მთელ უბნისათვის წლის განმავლობაში პროფილაქტიურ ზომებისათვის და საწამლავად.

ექიმი **იანქოშვილი.**

სატარიფო პალატაში

მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა.

8 ნოემბრის სატარიფო პალატის მორიგ სხდომაზე მუშათა ფრაქციამ განაცხადა, რომ აუცილებელია მიღებულ იქნას ზომები მუშათა მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მუშათა ფრაქციის აზრით ვერც ერთდროული დახმარება, ვერც ჯამაგირების გადიდება მუშებისათვის დადებით შედეგებს ვერ მოიტანს და ვერ გააუმჯობესებს მათ ცხოვრებას, მხოლოდ უნდა გადიდებულ იქნას პურის რაციონი $1\frac{1}{2}$ გირვანქამდე სულზე, უნდა მიეცეთ ზამთრისათვის შეშა და რეგულიარულად უნდა ეძლეოდეთ შაქარი, კარტოფილი და სხვა პირველ-საჭიროების საგნები.

მიისმინა რა ეს მოხსენება, სატარიფო პალატამ დაავალა პრეზიდიუმს გაეცნოს მდგომარეობას სასურსათო ფონდში, რის შემდეგ შესაძლებელია გადაწყდეს თუ როგორ განხორციელდეს მუშათა ფრაქციის წინადადება.

პრემიური სისტემის შემოღების შესახებ.

სატარიფო პალატის წარმომადგენელი მოახსენებს სხდომას, რომ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად შრომის სამინისტრომ შეიმუშავა პროექტი შრომის ხელფასის პრემიური სისტემით ანაზღაურებისა. ამის შესახებ შრომის სამინისტროს თათბირი ჰქონდა სხვადასხვა დარგის წარმოების წარმომადგენლებთან და სპეციალისტებთან, სადაც ეს კითხვა, პრემიური სისტემის შემოღებისა, განხილულ იქნა და დადებითად იქნა გადაჭრილი.

მომხსენებელი სცნობს, რა რომ ეს საკითხი უკვე მომწიფებულია და მოითხოვს ცხოვრებაში დაჩქარებით გატარებას, წინადადებას აძლევს სატარიფო პალატას პრინციპიალურათ მისაღებათ იქნას ცნობილი, ხოლო მისი პრაქტიკულად განხორციელება დაევალოს სათანადო ორგანოს.

მცირე კამათის შემდეგ მუშათა ფრაქციის წინადადებით მიღებულ იქნა: საკითხი დაჩქარებით გადაეცეს განსახილველად მუშათა ორგანიზაციებს და ერთი კვირის შემდეგ ხელმეორედ დაისვას სატარიფო პალატაში.

შრომის სამინისტროს ცირკულიარი

შრომის სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა რესპუბლიკის ყველა პროფესიონალურ კავშირებს, შრომის კომისრებსა და შრომის სამინისტროს რწმუნებულებს:

უკანასკნელ დროს, როგორც თფილისის, ისე პროვინციის კავშირებში ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებს, როცა ისინი გაფიცვის მუქარით სხვადასხვა მოთხოვნილებებს აყენებდენ. ამ მოთხოვნილებების შინაარსი იყო ან თავის დროზე ხელფასის მიცემა, ან პურისა და სხვა საგნების რეგულიარულად დარიგება.

ასეთი მოვლენები, რომელთაც თან ახლავს გაფიცვის მუქარა, შრომის სამინისტროს სთვლის სამწუხარო გაუგებრობათ. გაფიცვაზე დაყრდნობა, როგორც ერთად-ერთ საშვალებაზე ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისა, არსებულ პოლიტიკურ პირობებში უსათუოდ უარყოფილ უნდა იქნას. მუშათა ორგანიზაციებს აქვთ მთელი რიგი საშვალებებისა, რომ მათ სახალხო მეურნეობის განადგურების გარეშე დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებანი. რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებულ სიფრთხილეს, რომ მრეწველობა ნორმალურად მიმდინარეობდეს, ვინაიდან მრეწველობის ოდნავათ შეჩერებაც კი მთელი თავისი სიმძიმით მუშებს დააწვება.

ამიტომ რესპუბლიკის სამეურნეო ორგანიზმის შერყევა მომასწავებელია მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის კიდევ გაუარესების. ყოველთვის როცა შრომის სამინისტროს შუამავლობა ვერ იძლევა მუშებისათვის სასურველ შედეგებს, იქ აუცილებლათ ადგილი აქვს ისეთ ობიექტიურ პირობებს, რომელნიც დროებით შეუძლებლათ ხდიან მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ამ მდგომარეობას არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს შეკავშირებულ მუშათა კლასმა, რომელმაც იცის და თვალყურს ადევნებს სახალხო მეურნეობისა და ახალ სახელმწიფოს შენების დროს მოულოდნელად გაჩენილ დაბრკოლებებს.

მთელი მუშათა კლასის სიმტკიცის და განვითარებისათვის, მუშათა ორგანიზაციებმა, შრომის კომისრებმა და შრომის სამინისტროს რწმუნებულებმა ყოველივე ღონე უნდა იღონონ რომ ცალკე ჯგუფებმა ან მუშათა კავშირებმა გაფიცვისა და მუშაობის შეტოვების მუქარით არ შეიტანონ დეზორგანიზაცია ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში და ყოველ შემთხვევაში ყოველივე შესაძლებლობა უნდა იქნას ამოწურული, რომ უთანხმოება მშვიდობიანი გზით დასრულდეს.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ა. ბახტაძე.**

მასწავლებელთა საყურადღებოთ

ა. წ. 20 ნოემბერს მოწვეულია თფილისში სრ. საქ. მასწავლებელთა კავშირის დელეგატთა და მასწავლებელთა კოოპერატივის „უნივერსალის“ რწმუნებულთა საერთო ყრილობა. გასარჩევია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება საბჭოს მოქმედების შესახებ; 2) კავშირის შემოსავალ გასავალი; 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება; 4) მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა; 5) მოხსენებანი ადგილებიდან; 6) წესდების ზოგიერთი მუხლების შეცვლა; 7) მასწავლებელთა საურთი-ერთო დამხმარე და დამზღვევი კასა; 8) კავშირის საბჭოს და კონფერენციის ინსტრუქციების დამტკიცება; 9) საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევა; 10) მასწავლებელთა კოოპერატივის „უნივერსალის“ გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა.

დელეგატები უნდა აირჩეს საზოგადო ყრილობაზედ 50 წევრზე ერთი. ყრილობები შეიძლება გაიმართოს სამაზრო ან სარაიონო. საარჩევნო მეტრის შედგენათ შეიძლება შეერთდეს ორი-სამი ფილიალი. თუ ერთ რაიონში წევრთა რიცხვი 50 ს აღემატება, ზედმეტმა შეიძლება ხმა მისცეს მეზობელ რაიონში. კრება კანონიერად ჩაითვლება, თუ წევრთა რიცხვის ნახევარზედ მეტი გამოცხადდა და დელეგატებს ირჩევენ ამ რაიონში მყოფ წევრთა რაოდენობის მიხედვით. მანდატი უნდა შეამოწმოს სამაზრო კავშირის გამგეობამ და შიგ აუცილებლათ უნდა იყოს აღნიშნული, რომ არჩეული პირი არის ყრილობის დელეგატი და კოოპერატივ „უნივერსალის“ რწმუნებული. დელეგატების არჩევისთანავე სასწრაფოდ უნდა ეცნობოს დეპეშით საბჭოს სად რამდენი დელეგატი აირჩიეს, რომ მათთვის ბინა და სურსათი დამზადდეს. სამაზრო კავშირთა გამგეობებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ საგანგებო და განსაკუთრებული ზომები, რომ დელეგატების არჩევა მოესწროს და ყრილობა აუცილებლათ შესდგეს.

ბიურო.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, საღ. საათზე, ს. ვადაჭკორიას თავმჯდომარეობით შესდგა მეოთხე რაიონული კოლექტივის მორიგი სხდომა. სხდომამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება თფილისის კომიტეტიდან 2) საზოგადო კრების მოწვევა, 3) მოხსენება გამრთობ საზოგადოების გამგეობის, 4) მცირე კოლექტივების მუშაობა, 5) ამხ. თ. ნიკოგოსოვის განცხადება, 6) ამხ. ე. სირბილაძის განცხადება. პირველი კითხვის შესახებ სხდომა ისმენს ამხ. უ. ელიავას მოხსენებას, თფილისის კომიტეტის უკანასკნელი დღეების მუშაობის შესახებ. მოხსენებიდან ყოფს განსახილველად კითხვას მუშათა მდგომარეობის შესახებ, რომლის შესახებაც ლაპარაკობენ შემდეგი ამხანაგები: გ. მაჭავარიანი, ს. ვადაჭკორია, უ. ელიავა, გ. უჯინიაშვილი, თ. ნიკოგოსოვი და სხვ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ სხდომა ადგენს: საჭიროა მთავრობამ მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება ცენტრალურ კოოპერატიულ ორგანიზაციების გაძლიერებას და სხვა და სხვა დახმარებით საშვალება მისცეს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა მოთხოვნილებანი, ამ საკითხის სავსებით ამოსაწურათ სხდომა საჭიროთ სთვლის ამ დღეებში მოწვეულ იქნეს რაიონული კოლექტივისა, მცირე კოლექტივისა და მოწინავე მუშათა გაერთიანებული სხდომა, რომელზედაც მომარაგების სამინისტროს წარმომადგენლის მიერ გაკეთებული იქნეს მოხსენება სამინისტროს მუშაობის შესახებ. მეორე კითხვის შესახებ თანახმად მდივნის მოხსენებისა სხდომა ადგენს საზოგადო კრება მოწვეულ იქნეს მომავალ ხუთშაბათს, საღ. სრულ 7 საათზე, რომელზედაც მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენების წასაკითხათ მოწვეულ იქნეს ამხ. ნ. რამიშვილი.

მესამე კითხვის შესახებ სხდომამ მოისმინა მდივნის მოხსენება გამრთობ საზოგადოების გამგეობის მუშაობის შესახებ და გამგეობის სარეპერტუარო კომისიაში აირჩია ამხ. გ. მაჭავარიანი. მეორე კოლექტივებში მუშაობის გასაჩაღებლათ, სხდომამ საჭიროთ სცნო მოხდეს ყველა უბნებში საზოგადო კრებები, რომელზედაც ამხანაგთა მიერ გაკეთებულ იქნეს მოხსენება სხვა და სხვა მწვავე კითხვებზე. კერძოთ სოლოლაკის უბნის მცირე კოლექტივის ბინის გამონახვა დაევალა ამხ. თ. ნიკოგოსოვს და პ. კახიანს, თანახმად მისი თხოვნისა ამხ. თ. ნიკოგოსოვი განთავისუფლებულ იქნა კოლექტივის წევრობიდან. უკანასკნელი კითხვის შესახებ სხდომა ირჩევს ამხ. ე. სირბილაძის განცხადებას რეზერვებში მყოფ გვარდიელთა შესახებ და საკმაო აზრთა გამოცვლის შემდეგ სხდომა ადგენს: მომავალ სხდომაზე გამორკვეულ იქნეს რეზერვებში მყოფ გვარდიელთა რიცხვი და გამოარკვიონ ვინ არ ესწრება ვარჯიშობას.

X.

ავლაბრის რაიონი. 29 ოქტომბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის პარტიის წევრთა საზოგადო კრება, სადაც ამხ. ქ. გვარჯალაძემ შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა საერთაშორისო მუშათა კლასის თანამედროვე პირობები, ევროპაში არსებული ეკონომიური კრიზისები, და პირველ საჭიროების საგნებთა უსაზღვრო სიძვირე, აღნიშნა მსოფლიო ომისაგან გამოწვეული მიზეზების გამო მუშათა ინტერნაციონალის დაშლა, და ამ ჟამად ევროპის მუშათა კლასის გაერთიანებული მისწრაფება ინტერნაციონალის აღდგენისაკენ. საზოგადო კრება დიდის ინტერესით უსმენდა ამხ. გვარჯალაძეს. მოხსენების დასრულების შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ქ. გვარჯალაძისა ევროპის მუშათა მოძრაობის შესახებ, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მომხსენებლის აზრს და ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მთელი ქვეყნის მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლად ეკონომიურ - ფინანსიური საკითხების მოსაგვარებლად საჭიროა შრომის ნაყოფიერების გაზრდა და მუშათა შეგნება თავისი ინტერესებისადმი და ამავე დროს გამსჭვალული ვართ იმ აზრით რომ მუშათა კლასმა აღადგინოს თავისი უდიდესი ორგანიზაცია, რომლის გიგანტიურ შემოქმედებას მუშათა კლასი ეხლა უფრო მეტათ საჭიროებს ვიდრე ოდესმე, ამიტომ ჩვენ სალამს ვუძღვნით განახლებულ ინტერნაციონალს, რომელიც ჩირაღდანია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის. გაუმარჯოს ინტერნაციონალს, გაუმარჯოს სოციალიზმს.

ვერხვი.

მუშათა შორის

ბორჯომი. ბორჯომის სახელმწიფო მამულში მომუშავე მუშა-მოსამსახურეები ძლიერ გაჭირვებულნი არიან სურსათის უქონლობის გამო: ისინი იძულებული ხდებიან დასტოვონ მუშაობა და წავიდენ პურის საყიდლათ სადმე, რაც წარმოებას აფერხებს. იყიდიან ორ-სამ ფუთ პურს და იმასაც ზოგიერთ მუშებს ართმევენ ხაშურში მილიციონერები, ამას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, ვინაიდანაც ჯერ არს. დიდი იმედი ჰქონდათ მუშებს მუშათა მაგიდისა, მაგრამ სამწუხაროდ ის ვერ აწვდის მათ სურსათს თავის დროზე. გაზეთ „ერთობაში“ № 245 გ. მატრონეიშვილი სწერს, ვითომ ბორჯომის ქალაქის თვითმართველობას ისე ჰქონდეს საქმე მოწყობილი, რომ პურით და ხორცით უზრუნველყოფილიყვნენ ბორჯომის მცხოვრებლები, მაგრამ სამწუხაროდ ეს სიმართლეს მოკლებულია; პური თუ გამოაცხო ქალაქის თვითმართველობამ თვეში ორჯერ ყიდის გირვანქას ორმოც მანეთად და არა ოცდა თოთხმეტად, ხორცს კი ორმოც მანეთად. ვინ სარგებლობს ამით? ცხადზე უცხადესია ყველაზე მეტს ქალაქის მცხოვრებლები. ჩალხის წყლის მუშებმა აძლიერეს შუამდგომლობა თვითმართველობის წინაშე სურსათის მიწოდების შესახებ, მაგრამ სურსათის უქონლობის გამო ეს არ იქნა დაკმაყოფილებული.

ცენტრიდან დირექტივების მიუცემლობის გამო საქმე ფერხდებაო, სწერდა კორესპონდენტი, ესეც სიმართლეს მოკლებულია.

იდგა.

პროვინცია

ზემო იმერეთი. მე არ ვიცი, თუ რა ხდება ქვემო იმერეთში, მაგრამ ის, რაც ხდება ზემო იმერეთში, წარმოადგენს ჯოჯოხეთს: მთელი ღვინობისთვეა, რაც განუწყვეტელი წვიმაა. ყურძენი მოკრიფეს, როგორც ვაი-ვაგლახით; ასეთ წვიმიან ამინდში მოკრეფილი ყურძნის ღვინო კარგი ვერ გამოვიდოდა; ეს ხალხმა კარგად იცოდა, მაგრამ რა ექნა, როდესაც ყოველდღე კოკისპირული წვიმა იყო. როგორც ვიცით, ყურძენში შაქარი მუშავდება მზის სხივების წყალობით და ასეთი სხივები კი მას არ უნახავს ენკენისთვიდან დღემდე. იმ დროს, როდესაც ყურძენს სჭიროდა ქარი და სითბო მას წვიმა ალპობდა. სიმინდს უარესი დღე დაადგა. მას სჭირია მზე, სითბო, ჯერ ივლისის დამლევს სიმინდი გაანადგურა ქარ სიცხემ და ეხლა კი მუდმივმა წვიმამ და ადრე დაწყებულმა სიცივემ სრულიად გაანადგურა გლეხის მოსავალი. ყოველი მოხუცი გაიძახის, რომ ასეთი ცუდი შემოდგომა არ მახსოვს, რომ ყოფილიყოსო. მართლაც საშინელ სურათს წარმოადგენს ზემო იმერეთი ეხლა: სიმინდი, ჩალა, ძაძა და ლობიო ვაკე, სწორ ადგილებში წყალში ცურაობს, უსწორმასწორო გორაკებზე კი მთლათ დახვეტა ნიაღვარმა. თუ ვინმემ მოასწრო ნაწილის მაინც მოტანა სახლში, არ შრება; ლპება, როგორც სიმინდი, ისე ჩალა. (ზოგიერთებმა უკვე დაიწყეს საქონლის გაყიდვა, ვინაიდან არ აქვთ იმედი ზამთარში მათი გამოკვებისა). ეხლავე დასაფქვავ სიმინდს ცეცხლზე აშრობენ, ვინაიდან გაუხმარი სიმინდის დაფქვა შეუძლებელია. ყოველივე ამას დაუმატეთ ცუდი გზები, უმუშობა საზღაპრო სიძვირე და თქვენ მიიღებთ სოფლის მუშების უმწეო მდგომარეობის სურათს. წელს დიდი დახმარება სჭირია ზემო იმერეთს და ეს დახმარება მას უნდა აღმოუჩინოს, როგორც ცენტრალურმა მთავრობამ, აგრეთვე ადგილობრივმა ერობებმა და კოოპერატივებმა. უნდა მოაწყონ ღვინის გადაცვლა საწოვაგზე და საქონლის საკვებზე, რაც ძლიერ შეამსუბუქებს სოფლის მუშის ტკივილებს. ასეთ გაჭირვებულ დროში უნდა გამოიჩინონ ერობებმა შემოქმედებითი მუშაობის უნარი და ხალხს გაუწიონ ნამდვილი მამობა. ჩვენს რესპუბლიკაში საკმაოთ მოიძებნება ისეთი ალაგები, რაღაც არის ზედმეტი სიმინდი და პური, მაგრამ ახ სულ არ არის ღვინო, ან ძლიერ მცირეა. აი ასეთ ალაგებში ერობებმა და კოოპერატივებმა უნდა გაიტანონ ზედმეტი ღვინო და სამაგიეროთ მოიტანონ სიმინდი.

ხ. კუნკული.

ცხინვალი. გასულ დღეებში ცხინვალში დააპატიმრეს ი. მაისურაძე. ამ შემთხვევამ მეტად გახარა მთელი ცხინვალის რაიონი, მაგრამ მათ სიხარულს მალე ფრთები შეეკვეცა. მალე ი. მაისურაძე განთავისუფლებულ იქნა, რის გამო მთელი ცხინვალის რაიონი საშინლათ აღელვებულია.

ვინ არის ეს მაისურაძე? ეს გახლავთ ცნობილი ყაჩაღი 1905 წლიდან, რომელმაც 1905 წ-ში მთელი გორის მაზრა აიკლო თავის ბანდებით არა ნაკლები ზარალი მიაყენა მაშინდელ ჩვენ მომუშავე ამხანაგებს. ჩვენ ხელთა გვაქ უტყუარი დოკუმენტები იმ აუარებელ ბოროტმოქმედებისა, რომელიც ჩაიდინა მაისურაძემ ამ ცოტა ხანში.

საჭიროა მაისურაძის წინააღმდეგ სასტიკი ზომები რომ ბოლო მოეღოს მის თარეშს.

დიდი ლიახვის პირელი.

სოფელ ონოლია. (სენაკის მაზრა) ამ სოფლის მცხოვრებლებს 1919 წელში მცირე მოსავლის მოსვლის გამო დიდი გასაჭირი დაადგა, ამ სოფელში იშვიათად მოიპოვებოდა ისეთი ოჯახი, რომელსაც საკმაო საზრდო ჰქონდა.

ამ წლის მოსავალმა, საგრძნობათ იმატა წარსულ წელთან შედარებით; სოფლის მცხოვრებლებთ არაფერი არ გააჩნიათ გასაყიდი, გარდა სიმინდისა. სიმინდის ფულით მცხოვრებლებმა უნდა დაიკმაყოფილონ ყოველივე საჭიროებანი.

ამიტომ შესაძლებელია ხალხს სიმინდი გაჭირვებამ ხელიდან გამოაცალოს და ისევ წინ დაუდგეს ხალხს შიმშილის აჩრდილი.

ი. ჯიქია.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო!

„ახალი სხივის“ უკანასკნელ ნომერში ერთი წერილი „ქელარას“ ფსევდონიმით არის დაბეჭდილი. ამ ფსევდონიმით წინეთ მე ვათავსებდი წერილებს სხვადასხვა გამოცემებში, ამიტომ ბევრმა ამხანაგმა და ნაცნობმა ხსენებული წერილი მე მომაკუთვნეს.

ამით ვაცხადებ, რომ „ახალი სხივის“ აღნიშნული წერილის ავტორი მე არ ვარ და, გარდა ამისა, შიგ გამოთქმულ აზრსაც არ ვიზიარებ.

თ. კიკვაძე.

მოქალაქე რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი:

ამ რამდენიმე ხნის წინეთ გაზეთ „ერთობაში“ გამოცხადებული იყო გვარები იმ პირთა, რომელნიც ორ ადგილიდან ღებულობენ პურს. ამ პირთა რიცხვში მეც ვიყავი მოყვანილი. მე ვმსახურებდი ორ ადგილას ქალაქის გამგეობაში და უნივერსიტეტში. ვღებულობდი პურს მხოლოდ ქალაქის გამგეობაში, უნივერსიტეტიდან კი არც პური და არც არავითარი სანოვაგე არ მიმიღია და ჩემს მაგიერ სარგებლობდა ვიღაც ბოროტ-მოქმედი, რომლის ვინაობის გამორკვევას უნივერსიტეტის გამგეობის მიერ არჩეული სარევიზიო კომისია უკვე შეუდგა, შესაფერი მოწმობა, მიცემული ზემო-აღნიშნულ სარევიზიო კომისიის მიერ, უკვე წარვადგინე მუშათა მაგიდაში.

შ. მიქელაძე.

რედაქტორი [illegible] ნათაძე.

განცხადებანი

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა №11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ქართულ და რუსულ საშუალო
სასწავლებელში
1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვავსწორებ მათემატიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, (შესავალი ალექსის ქ. 5) 9—12 საათ. 4—5 მაჩაძის ბინა. (3627 5—2)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასწოლი ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **მ. ა. შაურანი**
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 [illegible] ქ. № 32. (21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაპიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად ფილტვის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

ექიმი
სოლომონ ისაის ძე [illegible]
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10\frac{1}{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირადღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხა
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი; ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

სპეციალისტი მასწავლებელი
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ფილტვი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთა ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ ბედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კილურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ე. ი. პალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
პ. ცუცხელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილისი (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—$7\frac{1}{2}$ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა №4